ახალი განათლება

13 - 19 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№30 (744) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

რა პირობით დაბრუნდებიან გამომცემლები სახელმძღვანელოების ბაზარზე

გვერდი 4



როგორ გავხდეთ მიმზიდველი უცხოელი სტუდენტებისთვის

„დღეს 7 ათასამდე უცხოელი სტუდენტი გვყავს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ გვექნება კარგად ორგანიზებული ძალისხმევა, ეს რაოდენობა ძალიან მალე გაორმაგდება. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უცხოელი სტუდენტები მხოლოდ იმისთვის კი არ გვჭირდება, რომ თანხა შემოვიდეს, არამედ იმისთვისაც, რომ ეს თანხა ქართველი სტუდენტების უფრო ხარისხიან განათლებას მოვახმაროთ“.

ალექსანდრე ჯეჯელავა

„კვლევის შედეგად ორი რეკომენდაცია გამოიკვეთა – ელექტრონული განათლება და STUDY IN GEORGIA – რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ ფინანსურ ძალისხმევას ან დიდ საკანონმდებლო ჩასწორებას არ მოითხოვს. მაგალითად, ჩვენ რომ გვქონდეს სწავლების შერეული კურსი – დისტანციურ-პრაქტიკული (ჩამოსული სტუდენტი პრაქტიკულ კურსს აქ ,ადგილზე, კონკრეტულ სასწავლებელში გაივლის), საშუალება მოგვეცემა, უფრო მოქნილ, ხელსაყრელ და გამჭვირვალე პირობებში წარიმართოს სწავლება, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.“

ანა ჟვანია

გვერდი 8

პროფესიული განათლება

ძველი კოლეჯის ახალი სიცოცხლე

დღევანდელობა და პერსპექტივები

გვერდი 3

ინტერვიუ

სკოლის სასადილოებში არსებული მდგომარეობა იდეალური არ არის, მაგრამ პოზიტივი აშკარაა

გვერდი 6

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ბიზნესის მართვის კათედრა

➢ 1 ასოცირებული პროფესორი

ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა

➢ 1 ასოცირებული პროფესორი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

➢ 1 ასოცირებული პროფესორი

საბუთების მიღება იწარმოებს:
2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე,
ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა,
10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2016 წლის 7 დეკემბერს.
კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები
გამოქვეყნდება 2016 წლის 13 დეკემბერს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ
უნივერსიტეტის ვებგვერდზე –
www.gttu.edu.ge
ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე:
2 66 15 12; 2 24 65 91

ინფორმაცია

ფულბრაითის პროგრამა ფართოვდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** ფულბრაითის (Fulbright) პროგრამის ევროპული ბიუროს ხელმძღვანელს სახელმწიფო დეპარტამენტში **მიქაელა აიოვინს** შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე **დემიენ უომპლერი**, განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი **ნინო ჭელიძე** და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე **ნინო კობახიძე**. ფულბრაითის პროგრამის ფარგლებში, შემდგომი თანამშრომლობის მემორანდუმი დაიდო პრემიერ-მინისტრთან არსებულ განათლების საერთაშორისო ცენტრთან, რომლითაც ფულბრაიტის პროგრამა კიდევ უფრო ფართოვდება.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ფულბრაითის ფარგლებში არსებული წარმატებული თანამშრომლობა და დასახეს სამომავლო გეგმები.

„საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 2013 წლის 15 აპრილს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმი სტუდენტებისა და მეცნიერ-მკვლევრებისათვის განკუთვნილი „ფულბრაიტის“ (Fulbright) აკადემიური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში არსებული კავშირების განმტკიცებას და გაძლიერებას გულისხმობს. მემორანდუმი, ასევე, ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა მიერ ფინანსურ მხარდაჭერას „ფულბრაიტის“ პროგრამაში ქართველი მაგისტრანტი სტუდენტებისთვის სტიპენდიების უზრუნველყოფის მიზნით.

 კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი (კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა)

აცხადებს კონკურსს პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (5 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ-პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (6 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

➢ **ჯანდაცვის მენეჯმენტი** (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი, 3 ასისტენტი);

➢ **ეკონომიკა** (2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი, 3 ასისტენტი).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის
➢ დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
➢ ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება;

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის
➢ დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
➢ ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის
➢ დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
➢ დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 2-წლიანი გამოცდილება;

დ) ასისტენტისთვის
➢ დოქტორანტის სტატუსი;
➢ ლექტორად მუშაობის და/ან დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 2-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
• კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
• CV-რეზიუმე;
• პირადობის მოწმობის ასლი;
• კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში – ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

საბუთების მიღება:
2016 წლის 14 ნოემბრიდან 2016 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

პროფესიული განათლება

ძველი კოლეჯის ახალი სიცოცხლე

დღევანდელობა და პერსპექტივები

გარემონტებამდე

რემონტის შემდეგ

ანა ფირცხალაიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტში ახალი სასწავლო წელი, 27 საჯარო სკოლაში, დროულად დაიწყო. ამას წინ უძღოდა, რიგ სკოლებში, საკუთარი ფინანსებითვე დაწყებული სარემონტო სამუშაოების განსაზღვრულ ვადებში დასრულებისთვის გამოწვეული ვნებათაღელვა. მხოლოდ ძეგვის სკოლა იყო გამონაკლისი, სადაც სასწავლო წელი, მოგვიანებით, 26 სექტემბერს დაიწყო, მაგრამ სანაცვლოდ სოფელს (და არა მხოლოდ სოფელს) შეემატა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალი სტანდარტების სკოლა, რომლის სრული რეაბილიტაცია მილენიუმის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა (მასშტაბური სამუშაოები შეასრულა წინა წლებში იმავე პროექტმა ქსანისა და ერედას სკოლებში), პარალელურად მიმდინარეობდა სამედიცინო კაბინეტების მოწყობა და აღჭურვა ნიჩბისსა და ქსოვრისში. თუმცა, რესურსცენტრის უფროსი **ბექა იორდანიშვილი** ამბობს, რომ ძალიან ჭირს სამედიცინო კაბინეტის დაკომპლექტება, ბევრი კონკურსანტი ექიმი ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერაა განსაზღვრული, არადა პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის (სპეციალისტების) დასაქმებაზეა ორიენტირებული და ხელფასის სიმცირის გამო, არათუ დედაქალაქიდან, მცხეთიდანაც კი გაჭირდება სპეციალისტების მოზიდვა. *„ბოლო წლებში წილკანსა და მუხრანშიც (წელს ძეგვი დაემატა) გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების სკოლები, ყოველწლიურად, საკუთარი შესაძლებლობებით ტარდება სკოლებში სარემონტო სამუშაოები, გაჩნდა პრეცედენტი, როცა ადგილობრივი ბიზნესიც დაინტერესდა სკოლების ბედით – ქანდაში მშობლიური სკოლის სველი წერტილების მოწესრიგება დაივალა ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა. კარგი მაგალითიც ხომ შეიძლება იყოს გადამდები! მით უმეტეს, როცა მუნიციპალიტეტში გვაქვს ბიწმენდის სკოლა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნისაა და, ალბათ, დაარსების შემდეგ, ადამიანის ხელი არ შეხებია. კარგა ხანია იქ გაუსაძლისი მდგომარეობაა და გასაკვირიც არაა, რომ მშობლებს სხვა სოფელში შეჰყავთ შვილები სასწავლებლად. წელს ახალი სკოლის პროექტი უნდა დასრულდეს, მერე მშენებლობაც მალე დაიწყება. მძიმე მდგომარეობაა ვაზიანის საჯარო სკოლაშიც.*

ახალ სასწავლო წელს თუ დავუბრუნდებით, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მაინც წინამძღვრიანთკარის საზოგადოებრივი კოლეჯის აღდგენას მივიჩნევ, როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების გათვალისწინებით“ – გვითხრა რესურსცენტრის უფროსმა და ჩვენც საგურამოსკენ გავემართეთ.

* * *

აქაურობას ჯერ კიდევ ეტყობა ახლად დამთავრებული რემონტის კვალი, მაგრამ შენობა სრულ მზადყოფნაშია სასწავლო პროცესის დასაწყებად (შეგახსენებთ, რომ 2010 წელს, განათლების მინისტრის ბრძანებით, ერთდროულად დაიხურა 13 პროფესიული სასწავლებელი, ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, წინამძღვრიანთკარიც) წელიწადნახევარი გაგრძელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და 6-წლიანი პაუზის შემდეგ, ილია წინამძღვრიშვილისა და ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული სასწავლებელი, მიმდინარე წლის ნოემბრიდან, განაახლებს სასწავლო პროცესს.

გვესაუბრება პროფესიული სასწავლებლის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მეღვინეობის დარგში **თემურ ასათიანი**: *„სასიხარულოა, რომ ასეთი სახელოვანი საგანმანათლებლო კერა კვლავ მწყობრშია, ისიც ბუნებრივია, რომ მისდამი მოთხოვნა უფრო მასშტაბური და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გახდა, რადგან თავიდანვე განესაზღვრა სამხარეო ცენტრის ფუნქცია – ფილიალები ექნება დუშეთში, თიანეთსა და სტეფანწმინდაში. დღეისათვის მიღება მხოლოდ სამ პროფესიაზე გამოვაცხადეთ: მეღვინეობა-მევენახეობა, მეხილეობა და მეფუტკრეობა. ეს მხოლოდ დასაწყისისთვის. 3-სართულიან შენობას, 400 მერხით, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს, რაც ნელ-ნელა, მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული. მხედველობაში მაქვს ის, რომ გეგმაშია ფერმერების მომზადებაც (სხვა პროფესიებთან ერთად). ეს კი სოფლის მეურნეობის გაცილებით დიდ სპექტრს მოიცავს, ვიდრე დღეს გვაქვს. როგორც იცით, სასწავლებელს საცდელი მეურნეობა ჰქონდა 60ჰა-ზე მეტი მიწით, რაც დღეისათვის მთლიანად გავერანებულია, მიწები ადგილობრივ მოსახლეობასა და დევნილებს აქვთ დანაწილებული. მომავალ წელს რომ მეცხოველეობის სპეციალობაზე გამოვაცხადოთ მიღება, 20 ჰექტარი მიწა აუცილებლად უნდა გვქონდეს (20 სულზე,10 ნამატით), სტანდარტის მიხედვით ასეა პროგრამა შედგენილი. ეს მიწები კი ჩვენ აღარ გვეკუთვნის. ის ან უნდა დავიბრუნოთ, ან კიდევ სხვა ადგილას გამოგვიყონ, რომ პროგრამა განვახორციელოთ. გუბერნატორი საქმის კურსშია და იმედი მაქვს, საკითხი დროულად მოგვარდება.*

რაც შეეხება მიმდინარე პროგრამებს: მეფუტკრეობისა და მეხილეობის პროფესიების დაუფლება ცხრაკლასდამთავრებულებს შეუძლიათ, და სწავლების ხანგრძლივობა წელიწადნახევარია; მევენახეობა-მეღვინეობაზე სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებიან. 3-წელიწადნახევრის შემდეგ მათ საერთაშორისო დონის სერტიფიკატი მიეცემათ, ამუშავდება გაცვლითი პროგრამა გერმანიასთან.

პირველი სასწავლო წლისთვის უკვე გვაქვს კაკლოვანი, თესლოვანი და კურკოვანი ხეების სადემონსტრაციო ნაკვეთი; გვინდა გავაშენოთ ვაზის საკოლექციო ჯიშები, ორ-ორი რიგი დავურიგოთ სტუდენტებს საკუთრებაში, პრაქტიკისთვისაც და მოსავლელადაც.

სასწავლებლის ტერიტორია იძლევა შემდგომი გაფართოების საშუალებას, დაწყებულია სასადილოს მშენებლობა, გვინდა მომავალში მზარეულებიც გავზარდოთ, დარწმუნებული ვარ საბულალტრო საქმის, კომპიუტერული პროგრამებისა თუ სხვა თანამედროვე პროფესიების შესწავლის მსურველებიც ეყოლება ჩვენს კოლეჯს. მთავარია, სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესება არ განელდეს, რომ სასწავლებელმა შეასრულოს სამხარეო ცენტრის ფუნქცია. ამისათვის კი საერთო საცხოვრებლის საკითხიც მოსაგვარებელია და სტუდენტების ტრანსპორტით უზრუნველყოფაც აუცილებელი. მაშინ იქნებ ქვეყნის მასშტაბითაც გახდეს საინტერესო და მიმზიდველი წინამძღვრიანთკარის საზოგადოებრივი კოლეჯი“.

სავარაუდოდ, მომავალი წლის აპრილში, სასწავლებელს ახალი პროფესიებიც დაემატება. ამისთვის უკვე მზად არის აუდიტორიები, ნაწილობრივ – ბაზები, პედაგოგიური კოლექტივი, ის სანარმოები და კომპანიები, რომლებთანაც სასწავლებელს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და სადაც პრაქტიკას გაივლიან სასწავლებლის სტუდენტები. ესენია: კახური ტრადიციული მეღვინეობის კომპანია, სურსათის ეროვნული სააგენტო, სატყეო დეპარტამენტი, ქართული ხილის კომპანია. სწავლების დუალური მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობაც სწორედ ისაა, რომ მონდომებული და კვალიფიციური სპეციალისტის დასაქმებაში თავად კომპანიაა დაინტერესებული. გარდა იმისა, რომ კოლეჯში სწავლა უფასოა, პრაქტიკანტ სტუდენტებს ეს კომპანიები სტიპენდიასაც უხდიან, კურსდამთავრებულებს, რომლებიც წარჩინებით გაივლიან სასწავლო კურსს, დასაქმება გარანტირებული ექნებათ. ამიტომ არის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მომგებიანი სტუდენტისთვის, საწარმოსთვის და, შესაბამისად, სახელმწიფოსთვის, ერთდროულად.

ამ დროისთვის წინამძღვრიანთკარის საზოგადოებრივ კოლეჯში მიღების მსურველთა რაოდენობა მინიმალურ ზღვარს გადასცდა. რა პირობებს შესთავაზებს მომავალ სტუდენტებს სასწავლებელი სწავლისა და დასაქმებისთვის, ამაზე იქნება დამოკიდებული მისი განვითარება. განვითარებისთვის კი, ჩემი აზრით, სხვა გზაც არსებობს, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი. თუკი კანონმდებლობა არ ქმნის სამართლებრივ ბარიერს, სტუდენტების მიერ კოლეჯის ბაზაზე შექმნილი პროდუქცია დამატებითი შემოსავლის წყაროდაც შეიძლება იქცეს და სასწავლებლის შემდგომი განვითარებისა და ახალგაზრდების წახალისების საქმეს მოხმარდეს. ასეთი შემოსავალი ზედმეტი ნამდვილად არ იქნება იმ ამოცანების განსახორციელებლად, რაც ახლად გახსნილი კოლეჯის წინაშე დგას.

სახელმძღვანელოები

რა პირობებით დაბრუნდებიან გამომცემლები სახელმძღვანელოების ბაზარზე

ლალი თვალაბეიშვილი

ახალი სასწავლო წლის სიახლეთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული ცვლილებები. დამტკიცდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა I-VI კლასებისათვის, რომელიც 2017-2018 სასწავლო წლიდან დაინერგება.

ოთხი წლის წინ, განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ, საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოებს სახელმწიფოსგან უფასოდ მიიღებდა და წიგნები სკოლების საკუთრებაში რჩებოდა. სამინისტრომ სახელმძღვანელოების ბეჭდვაც, თანხების დაზოგვისა და მშობლების ინტერესებზე ზრუნვის არგუმენტით, საკუთარ თავზე აიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამომცემლობების მიერ უკვე დაბეჭდილი გრიფმოპოვებული წიგნები, შესყიდვის გარეშე, სამინისტროს მფლობელობაში გადადიოდა. გამომცემლები ე.წ. ნაშთების პრობლემის (ხუთწლიანი გრიფის მქონე სახელმძღვანელოების მარაგი, რომელიც უკვე დაბეჭდილი ჰქონდათ) წინაშე აღმოჩნდნენ.

განათლების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** სახელმძღვანელოს გრიფირების წესში არსებული ის მუხლი აამოქმედა, რომელიც გამომცემლობებთან დადებულ ხელშეკრულებაში **დიმიტრი შაშკინის** მინისტრობისას ჩაიდო, თუმცა არ ამოქმედებულა. გრიფირების წესი სახელმწიფო დაწესებულებას იმპერატიულად აძლევდა უფლებას, საავტორო უფლებების მფლობელი გამხდარიყო.

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ სახელმძღვანელოების ბიზნესი ისევ გამომცემლებს დაუბრუნდეს. ამჟამად მიმდინარეობს I-VI კლასების სახელმძღვანელოების/სერიების გრიფირების გამოცხადებისთვის მზადება. განათლების მინისტრმა განაახლა ურთიერთობა გამომცემლობებთან და უკვე არაერთი შეხვედრა გაიმართა.

ალექსანდრე ჯეჯელავა აცხადებს, რომ *„ჩვენ, ისტორიულად, გავიარეთ ორი ეტაპი: ერთი – თავისუფალი ბაზრის ეტაპი, როცა ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა სახელმძღვანელოებში, მეორე – სუპერდარეგულირებული ბაზარი, როცა მე (სამინისტრო) ვბეჭდავდი თვითონ, გამოვართმევდი წიგნს გამომცემელს და ვბეჭდავდი. ორივე რყევამ – ერთმა დაა ზარალა მშობლები და ოჯახები, მეორემ – გამომცემლები და საგამომცემლო ბიზნესი. ახლა ვცდილობთ, გავიდეთ მესამე ეტაპზე, სადაც გამომცემელს ექნება ეს ბიზნესი, მის ხელში იქნება ბეჭდვის ნაწილიც, გამოცემის საავტორო ნაწილიც, თუმცა ფასები იქნება უფრო, ასე ვთქვათ, „მოკეპილი“, დარეგულირებული ზღვრულად, რაოდენობის, ტირაჟის და თემატიკის მიხედვით. ვცდილობთ, გამომცემლებთან ერთად, ფასები წინასწარ ვიცოდეთ, ანუ გავაკეთოთ პრაისლისტი.“*

მესამე ეტაპი, რომელზეც მინისტრი საუბრობს, გამომცემლებთან შეხვედრითა და თანამშრომლობის აღდგენის მცდელობით დაიწყო. ჩვენ დავინტერესდით, როგორ აფასებენ მიმდინარე პროცესს გამომცემლები, რისი მოლოდინი აქვთ სამინისტროსგან და თავად რა პირობებს სთავაზობენ მინისტრს.

თინა მამულაშვილი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ დირექტორი: *„პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ასეთი სახისაა: ჩვენ გვაქვს შეხვედრები განათლების მინისტრთან, მის მოადგილეებთან და სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ჩართულ სხვა პირებთან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რა პირობებით დაბრუნდებიან გამომცემლები ამ ბაზარზე – სახელმძღვანელოების გამოცემას რა პირობებით შეძლებენ.*

გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო საკითხი: პირველი, ვინაიდან შეიცვალა ეროვნული სასწავლო გეგმა, უნდა გამოცხადდეს ახალი გრიფირება დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებზე. I-IV კლასებზე იქნება სრული გრიფი, ხოლო V-VI კლასებზე გამოცხადდება პილოტირება, ანუ საპილოტედ შეიქმნება წიგნები, რაკი ძალიან ცოტა დრო გვაქვს იმისთვის, რომ განახლებული სახელმძღვანელოები შევქმნათ. V-VI კლასების სახელმძღვანელოები ერთწლიან პილოტირებას გაივლიან საექსპერიმენტო სკოლებში, საიდანაც მასწავლებლების გამოხმაურებას ველით. ამ ცვლილებების გათვალისწინებით შემდეგი, 2018-19 სასწავლო წლისთვის დაინერგება სკოლებში.

გამოიკვეთა ისიც, რომ სამი ყველაზე მაღალი რეიტინგის სახელმძღვანელო მიიღებს გრიფს, ანუ შეფასდება ქულებით, სხვადასხვა პარამეტრებით, რაც მაინც არ ნიშნავს ბაზრის შეზღუდვას. ასევეა საუბარი იმაზე, რომ გრიფირება შეიძლება იყოს მუდმივი პროცესი და ეს ბაზარი გაიხსნას სხვა მოთამაშეებისთვისაც. თუმცა ეს ჯერჯერობით ბუნდოვანია, რა სახით მოხდება და როდის. პირველი ეტაპი იქნება სამი პარალელური სახელმძღვანელო ერთ საგანში, ერთ კლასში.

მთავარი სიახლე ის არის, რომ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს დაბეჭდავს, გამოსცემს გამომცემლობა, რომელმაც განავითარა ეს სახელმძღვანელოები, ხოლო სამინისტრო შეისყიდის მათ გამომცემლობისგან. დაწესდა ფასთა მატრიცა, გარკვეული ზღვრული ფასი.

ამას გარდა, საკვანძო საკითხია ისიც, რომ ამოქმედდება ერთგვარი გარანტია – თუ გამომცემლობა, რაღაც მიზეზით, ვერ ახერხებს ან უარს აცხადებს, რომ გრიფირებული სახელმძღვანელო გამოსცეს და მიაწოდოს განათლების სამინისტროს, ამ შემთხვევაში, შემოდის ერთგვარი გარანტორი – მესამე მხარე, რომელიც ამბობს, თუ ნამდვილად დასტურდება, რომ კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამომცემელი ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში, აიღებს თავის თავზე სამინისტრო ბეჭდვას, ოღონდ ერთი ან ოთხი წლით, გრიფის მოქმედების ვადით, გააჩნია, რა შემთხვევა დგება და, ლიცენზიის საფუძველზე, საავტორო ჰონორარს გადაუხდის საავტორო უფლების მქონეს.

აი, ეს საკითხები გამოიკვეთა. საკმაოდ კომპლექსური დოკუმენტი გამოდის იმიტომ, რომ გრიფირების წესის გარდა, მოიცავს ლიცენზიის ხელშეკრულებას და შესყიდვის ხელშეკრულებას, რომელსაც ვამუშავებთ. პროცესი მიმდინარეობს, გვაქვს მოლაპარაკება სხვადასხვა საკითხებზე, ჩვენი, გამომცემლობების, შეთავაზებები აისახა ამ დოკუმენტებში. არის ბევრი დეტალი და ნიუანსი, რომელიც დაზუსტებას მოითხოვს, მაგრამ საკვანძო რაც იყო, უკვე გითხარით.

თუ გრიფირება ოქტომბერში გამოცხადდა, მაშინ კიდევ შეიძლება მოესწროს, თუ გადაიდო ნოემბერში ან დეკემბერში, დრო იმდენად ცოტაა, რომ ფაქტობრივად ვერ შევძლებთ დროში ჩატევას.

მთავარია, რომ სანდრო ჯეჯელავას შეუძლია გამომცემლებთან მოლაპარაკება აწარმოოს. გვაქვს განცდა, რომ ჩვენთან თანამშრომლობისთვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს და ცხადია, ჩვენგანაც იმავეს ელის. საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაო ჩატარდა, წესით, შედეგი ორივე მხარისთვის ასარგებლო უნდა იყოს.

ჩვენი მხრივ, დავამატებდი, რომ, საბოლოო ჯამში, გამომცემლები კვლავაც ჩაერთვებიან პროცესში და ეს ძალიან სწორი და ლოგიკურია იმიტომ, რომ, მაგალითად, ჩვენი გამომცემლობა 1998 წლიდან არსებობს და თითქმის მთელი თავისი არსებობის მანძილზე მუშაობდა სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ჩვენთან დაგროვილია სახელმძღვანელოების განვითარების, დეველოპმენტის ოცწლიანი გამოცდილება, გვყავს ძალიან კარგი ავტორები, დიდი ხნის განმავლობაში ვთანამშრომლობთ სკოლებთან, მასწავლებელთა ტრენინგებსაც ვატარებდით. ძალიან ხშირად გვქონია გამოხმაურება მასწავლებლებისგან, რასაც ვითვალისწინებდით და ა.შ. რეალურად, ეს გამოცდილება არ უნდა დაიკარგოს. მგონია, რომ განათლების სამინისტრომ ეს გაითვალისწინა და სწორედ ამიტომ აღდგა დიალოგი გამომცემლობებთან.“

ზვიად კვარაცხელია, მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „არტანუჯი“: *„რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, რომ სამინისტროს მხრიდან ეს ნაბიჯი გადმოიდგა. გასული ოთხი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, გამომცემლობებთან დიალოგის არანაირი მცდელობა არ იყო. რაც შეეხება ამ ურთიერთობის პერსპექტივას, რა თქმა უნდა, ორივე მხარეს უნდა, რომ ეს მოლაპარაკება რეალურ შედეგებამდე მივიდეს.*

სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებისა და განათლების სამინისტროს ურთიერთობა მოლაპარაკებების რეჟიმშია და ამ პროცესში უამრავი ისეთი საკითხია, რომელიც დროს ითხოვს. რა თქმა უნდა, უნდობლობის ფონიც არსებობს, რომელიც ამ ოთხი წლის განმავლობაში გაჩნდა და უამრავი შეკითხვა, რომელიც ამ ურთიერთობის დეფიციტის გამო წარმოიშვა. ბევრი რამაა დასაზუსტებელი – როგორც ტექნიკური, ასევე იურიდიული დეტალები, რომლებიც ამ მოლაპარაკების პროცესში უნდა შეთანხმდეს.

შემდგომი ეტაპი იქნება უკვე გრიფირების კონკურსში მონაწილეობა, რასაც გამომცემლები მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებიან, თუკი ყველა პირობა იქნება გათვალისწინებული, ყველანაირი დეტალი წინასწარ განსაზღვრული. ჩვენი უმთავრესი მიზანი, როგორც იმ გამომცემლის, რომელიც წლების განმავლობაში უპირისპირდებოდა განათლების სამინისტროს და ამხელდა საავტორო უფლების დარღვევასა და ინტელექტუალური საკუთრების მისაკუთრებაში, ის არის, რომ პროცესი კანონიერად და ყველა წესის დაცვით წარიმართოს, როგორც ცივილიზებულ საზოგადოებას შეჰფერის.

ამ მოლაპარაკების პროცესში გრიფირების დაახლოებითი ვადებიც გამოიკვეთა. სავარაუდოდ, არა უგვიანეს ოქტომბრის თვისა, იმიტომ რომ შემდეგ უკვე ძალიან ცოტა დრო დარჩება. ისედაც დრო მცირეა ხარისხიანი სახელმძღვანელოების მოსამზადებლად. ჩვენ ვაპირებთ, რამდენიმე საგანში შევიტანოთ სახელმძღვანელოები საკონკურსოდ და აქტიურად ვემზადებით ამისთვის.“

ნინო ნაკუდაშვილი, გამომცემლობის „სწავლანი“ დირექტორი: *„მოლაპარაკებები არ დამთავრებულა, ამიტომ, საბოლოო შედეგი ჯერ არ ვიცით. რა თქმა უნდა, თავისთავად პოზიტიურია, რომ პროცესი დაიძრა.*

რასაკვირველია, ჩვენ გვაქვს გარკვეული მოთხოვნები, რომელიც იცის განათლების სამინისტრომ. სხვა საკითხია, რამდენად აქვს მას საშუალება, გაითვალისწინოს ეს ყველაფერი. საბოლოო ჯამში, ყველაფერი მიდის ფინანსებთან. ის ფაქტი, რომ სამინისტრო ცდილობს ჩაჯდეს სამართლებრივ სივრცეში, საიდანაც ამოვარდნილი იყო და თვითონ კი არ ბეჭდავს სახელმძღვანელოებს (შპს-ს ფუნქციას კი არ ითავსებს), არამედ აპირებს შეისყიდოს უკვე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები გამომცემლებისგან, ეს დიდი და პოზიტიური ნაბიჯია, ამ პროცესის მიმდინარეობისას.

მეორე მხარეა, რა თანხა შეუძლია გადაიხადოს, ჯამში, სახელმწიფომ. ამასთან დაკავშირებით გარკვეული მოლაპარაკებები მიდის და იმედი მაქვს, კარგად დასრულდება. სახელმწიფოს აქვს სურვილი დაბრუნდეს იურიდიულ სივრცეში. ეს ძალიან კარგია.

მთავარია, რომ განათლების სამინისტრო და გამომცემლები თავს აღიქვამენ პარტნიორებად და არა მტრებად.

მე თუ მკითხავთ, სულ რომ არ შედგეს ეს მოლაპარაკება, მაინც კმაყოფილი ვიქნები, რომ არ გვლანძღავენ და ნარკოდილერებს არ გვადარებენ, როგორც ეს გიორგი მარგველაშვილის მინისტრობის დროს მოხდა. თვითონ ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ჯეჯელავამ სატელევიზიო გამოსვლისას გამომცემლები სისტემის დასაყრდენად მოგვიხსენია და თქვა, რომ მათ უნდა მოვუფრთხილდეთო, ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, საკმარისია, რომ თავი ვიგრძნო სრულად რეაბილიტირებულად და წელში გამართულად. დანარჩენი მოლაპარაკების საკითხია.“

გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორმა **თამარ ლებანიძემ** მიმდინარე პროცესებზე ვრცლად საუბარი არ ისურვა. მხოლოდ ის გვითხრა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესი, ზუსტდება დეტალები და ამ პროცესში ჩართული არიან მათი იურისტები.

გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელთან, **კახმეგ კუდავასთან** საუბარი საკმაოდ ვრცელი და ბევრისმომცველი გამოდგა. ბატონმა კახამ არა მარტო მიმდინარე მოლაპარაკებებზე ისაუბრა, არამედ ოთხი წლის წინ განვითარებული მოვლენებიც შეაფასა. თავისი სათქმელით, ვფიქრობთ, ყველა იმ გამომცემლის გულისტკივილი გამოხატა, ვინც სამინისტროს მიერ გატარებულმა პოლიტიკამ თითქმის გაკოტრების პირას მიიყვანა.

„გამომცემლებს 15-მდე შეხვედრა გვქონდა განათლების მინისტრთან. ჩემი აზრით, შერიგება შედგა, ახლა მიმდინარეობს მორიგება.

ამ პროცესის დაწყება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, ჩვენ ხომ, ოთხი წელია, არც ერთი მინისტრი არ დაგვლაპარაკებია, ამდენად, ამ შეხვედრებს, რა თქმა უნდა, დადებითად ვაფასებთ.

ვფიქრობ, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავა უნიჭიერესი მენეჯერია. ეს ის პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია მონახოს გამოსავალი – მოსწავლის, მასწავლებლის, ავტორის და გამომცემლის ინტერესების გათვალისწინებით. იგი ყურადღებით უსმენს რადიკალურ, კონსტრუქციულ, განსხვავებულ აზრებს. (ცოტა ზედმეტი ქება ხომ არ გამომივიდა?). თუ არ დამძიმდება ჩვენი მდგომარეობა, მაშინ აზრი აქვს თანამშრომლობას. პრობლემები კი მრავალია.

სახელმძღვანელოები

1. I-VI კლასების სახელმძღვანელოებს გაუვიდა გრიფირების ვადა, 2017 წლის სექტემბრიდან სკოლებში ახალი სახელმძღვანელოები უნდა შევიდეს. ჩვენ კი დიდი რაოდენობის მოქმედი სახელმძღვანელოების მარაგები გვაქვს. სამინისტროს ვთავაზობთ, შეისყიდონ ეს უხმარი, მოქმედი, საუკეთესო წიგნები, მინიმალურ ფასებში. მაშინ როდესაც, სკოლები სავსეა ორჯერ, სამჯერ ნახმარი, ჯანმრთელობისთვის საშიში წიგნებით.

გრიფირებაში მონაწილეობა რომ მივიღოთ, უამრავი ადამიანი უნდა ჩაერთოს პროცესში. შეიძლება ავტორს უთხრა, თუ გავიმარჯვებთ კონკურსში, შემდეგ მიიღებ ჰონორარს, მაგრამ ამას ვერ ეტყვი, ვთქვათ, მხატვარს, მოწვეულ რედაქტორს... მარაგების შესყიდვა გარკვეული ხელშეწყობა და ინვესტიცია იქნება ჩვენთვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ შემოვა ახალი, გამოუცდელი გამომცემლობა, გამოუცდელი ავტორებით და სკოლა მიიღებს სუროგატ სახელმძღვანლოებს. 20-წლიანი გამოცდილების მქონე ავტორებისა და გამომცემლობების მონაწილეობით კი, უკეთესი სახელმძღვანელოები შეიქმნება. მიმდინარეობს ვაჭრობა (ეს ცუდი სიტყვა არ არის) პირობებზე. ასე რომ, ნაშთების არსებობა ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი პრობლემაა.

2. წინა მინისტრებმა დაივიწყეს მასწავლებელი! ჩვენმა გამომცემლობამ შესთავაზა ახალ მინისტრს 17 ათასი „მასწავლებლის წიგნი“ სხვადასხვა საგანში, უფასოდ, საჩუქრად მასწავლებლებისთვის. 4 წელია მასწავლებელს არ მიუღია „მასწავლებლის წიგნი“. რატომ? როდესაც კონკურენცია იყო, ჩვენ, ავტორებთან ერთად, დავდიოდით რაიონებში, ხულოდან დაწყებული ლაგოდეხამდე და შეხვედრებზე პედაგოგებს ვჩუქნიდით წიგნებს. ეს ჩვენს ინტერესებშიც იყო, მიგვეწოდებინა ჩვენი სახელმძღვანელოების მიხედვით შექმნილი მეთოდური დამხმარე მასალა. არც ერთი „მასწავლებლის წიგნი“ სამინისტრომ არ დაბეჭდა, რადგან „წამგებიანად“ ჩათვალეს (მაგალითად, „მასწავლებლის წიგნი“ ფიზიკაში მოცულობით ერთ-ნახევარჯერ მეტია თვითონ სახელმძღვანელოზე). რაც უნდა ლამაზად ვილაპარაკოთ, მასწავლებელი სოციალურად დაუცველთა სიაშია, მისი მწირი ხელფასი რას უნდა ამყოფინოს. მეთოდური ლიტერატურა განსაკუთრებით საშურია დამწყები მასწავლებლისათვის. I-VI კლასების სახელმძღვანელოები რომც შეიცვალოს (წელს ხომ გამოადგებათ), VII-XII კლასების სახელმძღვანელოებიც ხომ გვაქვს. ამაზე დიდი საჩუქარი რა შეიძლება მივცეთ მასწავლებელს.

3. ოთხი გამომცემლობის („არტანუჯი“, „დიოგენე“, „ინტელექტი“ და „ლოგოს პრესი“) სარჩელი სტრასბურგის სასამართლოშია. სიმართლის ძიება ჩვენთვის, ისევე როგორც ბევრისთვის, აზრს კარგავს. ოთხი წელი მიილია საქართველოს სასამართლოებში სიარულში. მაგრამ გავიარეთ ეს აუცილებელი გზა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო სარჩელს არ მიიღებდა. ჩვენ მხარს გვიჭერს გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაცია. ლაპარაკია რამდენიმე მილიონ ევროზე (ეს თანხა საერთაშორისო აუდიტმა დაადგინა). ჩვენ დავიცავთ ჩვენი ავტორებისა და გამომცემლების ინტელექტუალურ საკუთრებას, მოვიგებთ ამ საქმეს და სახელმწიფოს მოუწევს თანხის გადახდა. ყოველივე ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ყოფილ განათლების მინისტრს, ბატონ გ. მარგველაშვილს.

4. ცალკე დგას ავტორთა ჰონორარის საკითხი. სამინისტრო რასაც ბეჭდავდა, იმის სასტამბო ღირებულების 10%-ს გვიხდიდა. რომ იანგარიშოთ, თითო ავტორი (4 ავტორის შემთხვევაში) ერთ რეალიზებულ წიგნში ერთ თეთრს იღებდა (ალბათ, არ დაიჯერებთ, მაგრამ ასეა). რომ გთხოვოთ რომელიმე სახელმძღვანელოს დაწერა და გითხრათ, რომ მხოლოდ ერთ თეთრს მიიღებთ ჰონორარს ერთ რეალიზებულ წიგნში, დათანხმდებით? ეს ხომ დაცინვაა.

მომზადდა ახალი ე. წ. ფასთა მატრიცა. ეს საკითხი განვიხილეთ, თუმცა ჯერ შეთანხმებული არ ვართ.

ყველაფერს ამ ქვეყანაზე აქვს საზომი ერთეული: სიგრძეს – სანტიმეტრი, მასას – კილოგრამი, როგორ შეიძლება წიგნის ფასი დადგინდეს სასტამბო ღირებულებით (ქაღალდის ღირებულებას პლიუს ბეჭდვის ღირებულება). გამოდის, რომ ქაღალდი უფრო ღირებულია, ვიდრე ის, რაც ამ ქაღალდზე წერია(?!). ესეც შეცდომაა – საზომ ერთეულად ნუ ვიყენებთ სასტამბო ღირებულებას.

კარგი ავტორის მოძებნა პრობლემაა. შეიძლება იყო კარგი მეცნიერი, კარგი მასწავლებელი, მაგრამ კარგი სახელმძღვანელო ვერ დაწერო. განათლების ერთი მინისტრი ამბობდა: ჩვენ მოვძებნით ახალგაზრდა ავტორებს, რომლებიც იმითაც კმაყოფილი იქნებიან, რომ სახელმძღვანელოზე მათი გვარი ეწერებაო. შეიძლება ასე მსჯელობა? – გეკითხებით.

5. დავსვათ საკითხი – არის თუ არა სახელმძღვანელო ძვირი? ძვირი რასთან შედარებით? რა ღირს ერთი კოლოფი სიგარეტი? რა ღირს თეატრის ბილეთი? რა ღირს ფეხბურთის ბილეთი? რა ღირს ნაყინი? რა ღირს ლუდი?.. საქართველოში წიგნი ყველაზე იაფია. სახელმძღვანელო კი არ არის ძვირი, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარია დაბალი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველო მდიდარია და ყველას შეუძლია სახელმძღვანელოს ყიდვა, მაგრამ მიდგომა უნდა იყოს დიფერენცირებული. ეს უნდა გახდეს სოციალური პროექტი. ვისაუბრეთ ამაზეც. ნუ გავაუფასურებთ წიგნს, ნუ დავუკარგავთ მნიშვნელობას.

6. ერთ-ერთი შეხვედრა მიეძღვნა უცხოელი გამომცემლებისა და ქართველი გამომცემლების უფლებებს. თქვენ კარგად იცით, რომ ინგლისური ენის სახელმძღვანელოები შემოდის უცხოეთიდან, კერძოდ ინგლისიდან. მიზანმიმართულად გააკოტრეს ტატიანა ბუკიას საუკეთესო ქართული გამომცემლობა „ოცდამეერთე“, რომელიც ძირითადად ინგლისურის კარგ სახელმძღვანელოებს გამოსცემდა. როგორ შეიძლება, დაწყებით კლასებში მაინც, ქართველი ავტორის მიერ არ იყოს უცხო ენის სახელმძღვანელო დაწერილი. ის, რაც შემოდის, ფაქტობრივად, რუსეთისთვის დაწერილი სახელმძღვანელოებია. ჩვენი ავტორების მიერ დაწერილ სახელმძღვანელოებში სულ ქართული გარემოა. ქართველ ბავშვს, კრემლზე და მატრიოშკებზე კი არ უნდა ელაპარაკო, ქართული რეალობის შესატყვისი მაგალითები უნდა შევთავაზოთ. თან ეს წიგნები არ არის დაწერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით. ასევეა ფრანგული და გერმანული ენის სახელმძღვანელოების შემთხვევაშიც. ქართველი ავტორებისა და გამომცემლების მიერ დაწერილი სახელმძღვანელოები რომ არ შეესაბამებოდეს სტანდარტს, გრიფირების კონკურსზე არც განიხილავენ. რატომ ვუშვებთ ამ გამონაკლისებს? ბუნებრივად ჩნდება კითხვის ნიშნები.

7. რუსული ენის სახელმძღვანელო თუ რუსეთიდან (ან სხვა ქვეყნიდან) შემოვიდა, ეს იქნება ოკუპაციის გაგრძელება – რას და როგორ ჩაწერენ, არავინ იცის. სპეციალურად ჩვენთვის ხომ არ დაიწერება ეს სახელმძღვანელოები. გოგონა-ბაშვილმა მარტო „დედა ენა“ ხომ არ დაგვიწერა, „Русское слово“-ც იმიტომ დაწერა თვითონ, რომ დაწყებით კლასებში რუსული ენაც ქართველი ავტორის დაწერილი უნდა ყოფილიყო. წლების განმავლობაში, რუსული ენა ჩვენთვის მეორე ენა იყო და ჩვენი ავტორები მას სრულყოფილად ფლობენ, ზოგს რუსული სკოლა აქვს დამთავრებული. მე ამ საკითხს რადიკალურად ვუყურებ, ეს საქართველოსთვის წამგებიანი იქნება – მორალურად, შინაარსობრივად. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ ასე არ მოხდეს.

რუსული ენის სახელმძღვანელოებიც ჩვენი, ქართველი ავტორების მიერ უნდა დაიწეროს. ამაზე გვიპასუხეს, რომ თუ სტანდარტის მიხედვით უცხოელი დაწერს, უარს ვერ ეტყვიან. ეს უკვე ცუდი ტენდენციაა.

20 წლის წინ ჩვენ რომ დავიწყეთ სახელმძღვანელოებზე მუშაობა, კოლმოგოროვის წიგნი იყო მათემატიკაში, მაშინ ამბობდნენ, რომ ვერ ვხედავთ საქართველოში მათემატიკის სახელმძღვანელოს დამწერ ავტორებსო. ჩვენ კი ვამტკიცებდით, რომ საქართველო არის მუსხელიშვილისა და ვეკუას სამშობლო. ქართველმა მათემატიკოსებმა დაწერეს და გამოვეცით კიდეც ევროპული დონის სახელმძღვანელოები.

8. არაქართულენოვანი სკოლების VII-XII კლასები სწავლობენ არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით. გამოდის, რომ არაქართულენოვანი სკოლები სხვა პროგრამით სწავლობენ, ქართული სკოლები – სხვა პროგრამებით. ამას უნდა დარეგულირება. ადრე ეს სკოლები იყო: აზერბაიჯანული, რუსული და სომხური. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გამხდარიყო: აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი და სომხურენოვანი. რა განსხვავებაა? სკოლა უნდა იყოს ქართული, რაც ნიშნავს იმას, რომ იყოს ქართული პროგრამა, სახელმძღვანელო – ქართული სკოლის სახელმძღვანელოს იდენტური, ქართული საათობრივი ბადე და სხვ. მაგალითად, აზერბაიჯანში ქიმიის სწავლება იწყება მეშვიდე კლასში, საქართველოს სკოლებში კი – მერვე კლასიდან. ქიმიის სახელმძღვანელო აზერბაიჯანიდან შემოიტანეს, რადგან ჩვენი არ იყო გრიფირებული. ასევე შემოიტანეს ფიზიკის და მათემატიკის სახელმძღვანელოები სომხეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, რომლებსაც მოაყოლეს თავიანთი ქვეყნების ტენდენციურად დაწერილი ისტორიის სახელმძღვანელოები, სადაც წერია – ვინ არის შენი პრეზიდენტი? პასუხი მარტივია: პუტინი, ალიევი... ასეთი პოლიტიკით ჩვენი ეროვნული ინტერესები ზარალდება. ნუ ვიზამთ ამას.

9. სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების დაცულობაზე შევთანხმდით. მივიღეთ გარკვეული თანხმობა უცხოური ორგანიზაციებიდანაც.

სხვა პრობლემებზე მომავალში ვისაუბროთ.“

* * *

განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ სახელმძღვანელოების ბიზნესის ისტორია საქართველოში, პირობითად, სამ ეტაპად დაყო. პირველი ორი, თავისი მიღწევებითა და შეცდომებით, უკვე გავლილია. ახალი – მესამე ეტაპი რომ წარმატებით დასრულდეს, აუცილებელია გამომცემელთა 20-წლიანი გამოცდილების გაზიარება და დაშვებული შეცდომების აღიარება. სამინისტროსა და გამომცემლებს შორის თანამშრომლობა რომ შედგეს, განათლების სამინისტრომ, გამომცემელთა დაკარგული ნდობის აღსადგენად, ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას.

ინფორმაცია

წარჩინებული მეათეკლასელები კომპიუტერებით დასაჩუქრდნენ

მაკა ყიფიანი

7 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე, თბილისის ისანი-სამგორისა და ვაკე-საბურთალოს საჯარო სკოლების 240 წარჩინებულ მეათეკლასელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ალექსანდრე ჯეჯელავამ** საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით, პროექტი წლების განმავლობაში წარმატებით ხორციელდება და სასიხარულოა, რომ ყოველწლიურად იზრდება დაჯილდოებულ მოსწავლეთა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა წახალისებასა და მოტივაციის ამაღლებას.

2016 წელს, პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც 2015-2016 სასწავლო წელს საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარჩინებით დაასრულეს. მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე). თბილისის მასშტაბით, სულ 448 (გასულ წელს – 356) მეათეკლასელი დასაჩუქრდა, საქართველოს მასშტაბით კი – 2470 (გასულ წელს – 1970). უახლოეს დღეებში ყველა ბენეფიციარი მიიღებს ჯილდოს – პერსონალურ კომპიუტერს.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„სასიხარულოა, რომ ყოველწლიურად მატულობს წარმატებული მოსწავლეების რაოდენობა და თუ შევადარებთ 2012 სასწავლო წლის შედეგებს, შემიძლია გითხრათ, რომ 1000-ით მომატებულია წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობა. თითოეულ მოსწავლეს ვულოცავ ამ წარმატებას, მათ ოჯახებს, მშობლებს, მასწავლებლებს და ვუსურვებ წარმატებულ საქმიანობას. თავად ეს პროექტი, სადაც წარჩინებული მოსწავლეები საჩუქრად იღებენ კომპიუტერს, არის მამოტივირებელი, რათა მომავალში კიდე უფრო მეტი ძალისხმევა მოახმარონ უკვე საშუალო საფეხურზე შედარებით გართულებული პროგრამების დაძლევას და კვლავ იყვნენ წარმატებულები“.*

მამუკა ინწკირველი, რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი, X კლასის მოსწავლე: *„მიხარია, რომ განათლების მინისტრმა თავად მოგვილოცა წარჩინებულ მოსწავლეებს წარმატებები. სასიხარულოა, რომ ჩვენი შრომა დაფასდა. ორმაგად სასიხარულოა, როცა ჩემ გვერდით ამდენ წარჩინებულ თანატოლს ვხედავ. რა თქმა უნდა, ასეთი საჩუქარი კიდევ უფრო დიდი მოტივაციაა ჩემთვის, რომ შემდეგი წლები მაღალი აკადემიური მოსწრებით დავძლიო. დიდი მადლობა ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას, ჩვენთვის საინტერესო ღონისძიების მოწყობისთვის“.*

ნია ჯამასპაშვილი, თბილისის 82-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: *„საჩუქარი რომ მიმეღო, მე-7 კლასიდან ათასანი უნდა ვყოფილიყავი. ძალიან ბევრი ვიშრომე, გამოცდები წარჩინებით ჩავაბარე და შესაბამისად, ვფიქრობ საჩუქარიც დამსახურებულად გადმომეცა. ძალიან დიდი მადლობა განათლების სამინისტროს იმისთვის, რომ მე და ჩემს თანატოლებს ერთი დაუვიწყარი, ლამაზი დღე გვაჩუქა“.*

მაგდა ჩადუნელი, 180-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: *„დიდი მოტივაცია მქონდა იმისთვის, რომ კარგად მესწავლა და შესაბამისად, დაპირებული საჩუქარი მიმეღო. მომავალში კიდევ უფრო მეტად მოვინდომებ, რათა კიდევ უფრო დიდ წარმატებას მივაღწიო“.*

მარიამ გურჯიევი, თბილისის 168-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: *„ძალიან მიხარია, რომ ოცნება ავისრულე და ჩემი შრომის ფასად, საჩუქრად კომპიუტერი მივიღე. იმედი მაქვს, მომავალში დასახულ მიზნებს ავისრულებ და კიდევ უფრო წარმატებული გავხდები. მადლობა საქართველოს!“*

ინტერვიუ

სკოლის სასადილოებში არსებული მდგომარეობა იდეალური არ არის, მაგრამ პოზიტივი აშკარაა

სკოლის სასადილოები ის საკითხია, რომლის მიმართაც არც ერთი მშობელი გულგრილი არ არის. ყველას აინტერესებს, რით იკვებება სკოლაში მისი შვილი, რა პირობებში მზადდება მათთვის განკუთვნილი საკვები, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ ბიზნესოპერატორები დაკისრებულ მოვალეობას, რამდენად ჯანსაღია პროდუქტი, რომლითაც მოსწავლეები იკვებებიან, ვინ ამზადებს საკვებს მათთვის და რა პირობებში, დაცულია თუ არა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები სკოლის კვების ობიექტებში, მოწმდება თუა არა საკვები ლაბორატორიულად, როგორ ხდება ინსპექტირების პროცესი.

გვესაუბრება სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე **კახა სოხაძე**

– წლების წინ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტების საკითხი თვითდინებაზე იყო მიშვებული და შესაბამისად, პრობლემებიც არსებობდა. დღესდღეობით ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა პრობლემები მაინც არის. როდიდან ხორციელდება სასწავლო დაწესებულებებში მოქმედი კვების ბლოკების აქტიური მონიტორინგი?

– მოგეხსენებათ, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვალდებულებაა სურსათის უვნებლობის კონტროლი, წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ კვების ობიექტებს, ანუ საბოლოოდ მომხმარებლისთვის მიწოდების ეტაპებს. სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების კვების ბლოკებიც ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საქმე ეხება მომავალი თაობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფის საკითხს, რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენი ახალგაზრდების ჯანმრთელობასთან, ამიტომ სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის ეს საკითხი ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ეს საკითხი გარკვეული პირების კეთილსინდისიერებაზე იყო მინდობილი. 2013 წლიდან დაიწყო სასკოლო დაწესებულებების, საბავშვო ბაღების კვების ბლოკების კონტროლი. მინდა გითხრათ, რომ პირველი კონტროლის საფუძველზე მდგომარეობა ნამდვილად არ იყო სახარბიელო. დღევანდელ მდგომარეობას თუ გადავხედავთ და სტატისტიკას გადავავლებთ თვალს, პროგრესი აშკარად იგრძნობა. ტენდენცია პოზიტიურია, თუმცა, ჯერ კიდევ, საკმაოდ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, კვების ობიექტებზე არსებული მდგომარეობა იდეალური ნამდვილად არ არის, მაგრამ პოზიტივი აშკარაა.

– სასწავლო წლის დაწყებამდე, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სკოლებისა და საბავშვო ბაღების კვების ბლოკები შეამოწმა. რამდენად დაცულია სასწავლო დაწესებულებების კვების ობიექტებში სურსათის უვნებლობის სტანდარტები?

– სასწავლო წლის დაწყებამდე, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ინდიკატორულად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეამოწმა სკოლები ინფრასტრუქტურის კუთხით, რათა გაერკვია რამდენად მოწესრიგებული ხვდებოდნენ ახალ სასწავლო წელს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მდგომარეობა იდეალური არ არის, მაგრამ დამაკმაყოფილებელია. სააგენტოს მიერ, პირველ რიგში, გადამოწმდა ის სკოლები, სადაც არასახარბიელო მდგომარეობა იყო. შემოწმების დროს გათვალისწინებული იყო წინა პერიოდის კონტროლის შედეგები. აღსანიშნავია, რომ, გასულ წლებთან შედარებით, სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკებში სურსათის უვნებლობის სტანდარტების და ჰიგიენური ნორმების დაცვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც სააგენტოს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული აქტიური კონტროლის და ბიზნესოპერატორების ინფორმირების გაზრდის შედეგია; საგრძნობლად შემცირდა დარღვევების რაოდენობა. ჩვენი სპეციალისტების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობები არ გამოვლენილა. სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკებში უვნებლობის სტანდარტების დაცვა სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლი ამ მიმართულებით მთელი წლის განმავლობაში პერმანენტულად გაგრძელდება.

– წელიწადში რამდენჯერ მოწმდება კვების ბლოკები გეგმიურად და რა შემთხვევაში ხდება არაგეგმიური შემოწმება?

– მოგეხსენებათ, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ეფუძნება რისკს, ანუ რისკის ანალიზზეა დაფუძნებული და ეს განსაზღვრავს რამდენჯერ და რა მექანიზმებით შემოწმდეს კონკრეტული ბიზნესოპერატორი. ობიექტები წელიწადში, მინიმუმ, ერთხელ მოწმდება. თუმცა, რეკომენდაციების მიცემის შემდეგ, მათი ხელმეორედ გადამოწმება ხდება. ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდება გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება. სკოლის კვების ბლოკების შემოწმების მექანიზმები სხვადასხვაა: არის ინსპექტირება, რომელიც გულისხმობს სრული სასურსათო ჯაჭვის კონტროლს ნედლეულიდან საბოლოო პროდუქტამდე, ინფრასტრუქტურის, პერსონალის და ა.შ.; ხორციელდება დოკუმენტური შემოწმება, რომელიც გულისხმობს თანმხლები დოკუმენტაციის, მათ შორის სურსათის ეტიკეტირების კონტროლს; ასევე, სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია სურსათის ლაბორატორიული კვლევა. შემოწმება იმის მიხედვით ხდება, თუ რა მექანიზმია უფრო რელევანტური იმ კონკრეტულ შემთხვევაში. მთელი წლის განმავლობაში ყველა სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების შემოწმება ხორციელდება, ოღონდ სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით. რაც შეეხება არაგეგმიურ შემოწმებას, მას აქვს თავისი კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლები. თუ რაიმე სახის მოწამვლასთან გვაქვს საქმე, ან თუ თავად ბიზნესოპერატორი ან სახელმწიფო ორგანო, სახელმწიფო უწყება, მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მუნიციპალიტეტი მოითხოვს ამას და ა.შ. ეს უკვე საფუძველია არაგეგმიური შემოწმების, სხვა შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტო, შესაბამისი კანონზომიერების დაცვით ახორციელებს ასეთ შემოწმებებს.

– როგორ ხდება კვების ობიექტების მომსახურე პერსონალის ინფორმირება, რა მოთხოვნებს უყენებთ მათ, ტარდება თუ არა მათთვის სპეციალური ტრენინგები?

– მოგეხსენებათ, სურსათის საწარმოებში პერსონალი გადამწყვეტ როლს ასრულებს. მნიშვნელოვანია, რამდენად სწორად ახორციელებენ ისინი თავიანთ საქმიანობას, რამდენად იცავენ ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნებს, მათ შორის, პირადი ჰიგიენის, ზედაპირების და ინვენტარის სისუფთავის მოთხოვნებს, რამდენად იყენებენ სამუშაო სივრცეში სპეცტანსაცმელს. რაც შეეხება ტრენინგების ჩატარებას, სააგენტოს თავისი რესურსებით გაუჭირდება მსგავსი აქტივობის განხორციელება. ჩვენ საიტზე განთავსებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა (**WHO**) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შემუშავებული „ხუთი გასაღების პრინციპი უვნებელი სურსათისთვის“. ეს არის ძალიან მარტივი ადაპტირებული ვერსია იმისა, თუ როგორ უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენა სურსათის საწარმოში ან მსგავსი ტიპის ობიექტებში დასაქმებულმა პირებმა. დონორი ორგანიზაციის დახმარებით ეს ტრენინგები ჩაუტარდა საბავშვო ბაღების კვების ბლოკის პერსონალს. ძალიან დიდი იყო დაინტერესება და შესაბამისად, მრავალრიცხოვანი დასწრება. აღსანიშნავია ისიც, რომ შემოწმების დროს ინსპექტორები გარკვეულ რეკომენდაციებს აწვდიან ბიზნესოპერატორებს და კვების ობიექტებზე მომუშავე პერსონალს. ეს არის ელემენტარული სისუფთავის დაცვა, რომელსაც ნებისმიერი დიასახლისი საკუთარ სამზარეულოში უნდა იცავდეს. უმთავრესი გზავნილი ამ „ხუთი გასაღების პრინციპისა უვნებელი სურსათისათვის“ შემდეგია: დაიცავით სისუფთავე; განაცალკევეთ უმი, ანუ დაუმუშავებელი და მომზადებული საკვები; საჭმლის მომზადებისას პროდუქტებმა უნდა გაიარონ სათანადო თერმული დამუშავება; სურსათის შენახვის დროს დაიცავით უვნებელი ტემპერატურული რეჟიმი; გამოიყენეთ უვნებელი წყალი და სასურსათო ნედლეული.

ეს არის ის უმარტივესი საკითხები, რასაც აუცილებლად უნდა იცავდეს ნებისმიერ კვების ობიექტზე მომსახურე პერსონალი.

– რა მდგომარეობაა საბავშვო ბაღების კვების ბლოკებში?

– სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, საბავშვო ბაღებში, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, აღარ გამოიყენება ალუმინისგან დამზადებული ინვენტარი, რომელიც მიჩნეულია მეორე კლასიფიკაციის საშიშროების ელემენტად და დაუშვებელია ბავშვთა საკვების მოსამზადებლად. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღების უმეტესობამ მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა და სარემონტო სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს. თითქმის ყველა საბავშვო ბაღში მოწესრიგდა წყალგაყვანილობა, დაცულია ჰიგიენა, მათ შორის, პერსონალის, დაცულია სურსათის ტემპერატურული რეჟიმი, რეცხვა-დეზინფიცირება. როგორც მოგახსენეთ, საბავშვო ბაღების პერსონალისთვის, პერიოდულად, ტარდება ტრენინგები; საბავშვო ბაღებში სურსათის მომარაგებასთან დაკავშირებული ტენდერის გამოცხადების დროს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანხმდება ტექნიკური სპეციფიკა და ცხოველური წარმოშობის სურსათის მომარაგების პირობები მკაცრად რეგლამენტირებულია.

– სურსათის ეტიკეტირება ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. რამდენად არის კვების ობიექტებში ეს მოთხოვნა დაცული?

– სურსათი, რომელიც არ არის ეტიკეტირებული, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს ინფორმაციას თუ რა სახისაა ეს სურსათი, რა ინგრედიენტებია გამოყენებული მის მოსამზადებლად, როდისაა დამზადებული პროდუქტი, ვარგისია თუ არა, დაცულია თუ არა შენახვის პირობები და ა.შ. სურსათის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს შენახვის დადგენილი პირობები და ვარგისიანობის დადგენილი ვადა. თუ არ არის სურსათი ეტიკეტირებული, რა თქმა უნდა, ეს დარღვევაა და, არც მეტი არც ნაკლები, განადგურებას ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში, პირდაპირ ირღვევა მომხმარებლის ინტერესები. აქედან გამომდინარე, ეტიკეტირების კონტროლი, ზოგადად სურსათის უვნებლობაში, ერთ-ერთი საფოკუსე ობიექტია და ჩვენი ინსპექტორები ამის კონტროლსაც მკაცრად ახორციელებენ.

– ვინ ადგენს მენიუს მოსწავლეებისთვის? არსებობს თუ არა მარეგულირებელი სარეკომენდაციო მენიუ?

– მენიუს ჯანდაცვის სამინისტრო ადგენს ასაკობრივი ჯგუფების, მოსწავლეების ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ შორის, ქრონიკული დაავადების მატარებელი მოსწავლეებისთვის. ჯერჯერობით, მას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, ბიზნესოპერატორებს, რომლებიც ახორციელებენ მოსწავლეების სურსათით უზრუნველყოფას, შეუძლიათ გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციები.

– კვების ობიექტზე აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში რა სანქციები ვრცელდება ობიექტზე?

– საბედნიეროდ, გასულ წელს, არ გვქონია შემთხვევა, რომ სასკოლო კვების ობიექტზე სასწავლო პროცესი შეგვჩერებინა. 2014 წელს იყო ორი შემთხვევა, როდესაც კრიტიკული შეუსაბამობის გამო მოგვიწია საწარმოო პროცესის შეჩერება. როცა აშკარაა დარღვევა, რომელიც გავლენას ახდენს სურსათის უვნებლობაზე, შემდგომში – ჯანმრთელობაზე, რა თქმა უნდა, ინსპექტირების დროს, ეს კრიტიკულ შეუსაბამობად განიხილება. ასეთ შემთხვევაში, საწარმოო პროცესი ჩერდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევა პირდაპირ ზეგავლენას არ ახდენს ჯანმრთელობაზე, ობიექტს შეუძლია ფუნქციონირების გაგრძელება, თუმცა მაკონტროლებელსა და ბიზნეს ოპერატორს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დათქმულ გონივრულ ვადაში უნდა გამოსწორდეს კონკრეტული დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გათვალისწინებულია საჯარიმო სანქცია. ასევეა სხვა ტიპის დარღვევებზე, მათ შორის, ეტიკეტირებაზე, ვადაგასულ სურსათზე და ა.შ.

– რა მდგომარეობაა კერძო სკოლების კვების ობიექტებზე?

– ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ კერძო სკოლებში მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე საჯაროში, თუმცა ინფრასტრუქტურა კერძო სკოლებში გაცილებით ახალია, შესაბამისად, სივრცე ახლებურადაა დაგეგმარებული. ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ სწორად იქნეს მართული სურსათის უვნებლობის საკითხები, თუმცა იქაც გარკვეული შენიშვნები გვქონდა. აქვე მინდა დავამატო, რომ კერძო სკოლებიც იმავე პრინციპით კონტროლდება, როგორც საჯარო სკოლები.

ესაუბრა მაკა ყიფშიანი

ინფორმაცია

პროფესიული დღესასწაული მიულოცეს

მასწავლებლის დღეს მსოფლიო, 1994 წლიდან, ყოველ 5 ოქტომბერს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში პედაგოგებისთვის, ტრადიციულად, საზეიმო მიღება გაიმართა. 100-ზე მეტ წარმატებულ პედაგოგს პროფესიული დღესასწაული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** მიულოცა: *„პირველ რიგში, მასწავლებლებს ძალიან დიდ მადლობას ვეტყოდი იმისთვის, რაც ამ ხნის განმავლობაში გააკეთეს ჩვენი მომავალი თაობებისთვის. ყველას გვახსოვს, ამ ქვეყანაში არაფერი რომ არ ხდებოდა, არაფერი მუშაობდა, არც ერთი წარმოება, ამ დროსაც არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი. ეს ხალხი არიან გმირები, რომლებმაც გადაარჩინეს ჩვენი ქვეყანა, დღემდე მოიყვანეს და აღზარდეს ღირსეული და ძალიან კარგი თაობა. ვულოცავ ყველა პედაგოგს მასწავლებლის საერთაშორისო დღეს. საინტერესოა, რომ იუნესკოს დევიზი ამ დღის შესახებ დაკავშირებულია მასწავლებლის დაფასებასთან, მის პრესტიჟთან. ზუსტად ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. პირველ რიგში, დაბრუნდეს მასწავლებლის პრესტიჟი. ვერც ერთი ქვეყანა, რომელიც ამას ვერ შეძლებს და ვერ დააფასებს თავის მასწავლებლებს, ვერ მიაღწევს განვითარებას და ბედნიერ მომავალს. ყველა ის ადამიანი – ხვალინდელი ჟურნალისტები, მინისტრები, სახელმწიფოს მეთაურები, მასწავლებლები, მებრძოლები, აბსოლუტურად ყველა – ვინც ხვალ უნდა ჩაიბაროს ეს ქვეყანა, დღეს სწავლობს სკოლაში და თქვენ ხელშია ჩვენი მომავალი, პირდაპირი და გადატანითი გაგებით. გისურვებთ ჯანმრთელობას, გაძლებას, ბედნიერებას, სიკეთე და ღირსება არ გაკლიათ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ თქვენს არაჩვეულებრივ საქმეში“.*

მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, საზეიმო მიღებაზე, წარმატებული საქმიანობისა და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისთვის, ცენტრის პროგრამების, საჯარო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლები დაჯილდოვდნენ. ლიბერთი ბანკის წარმომადგენელმა კონკურსში „მსოფლიო მასშტაბური გაკვეთილი“ გამარჯვებული 10 მასწავლებელი დააჯილდოვა. ასევე გამოვლინდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებული ლიტერატურული კონკურსის სამი გამარჯვებული მწერალი, რომელთაც ფულადი ჯილდო და საჩუქრები გადაეცათ.

არაქართულენოვანი მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამიდან დაჯილდოვდა 3 კონსულტანტ-მასწავლებელი, რომლებმაც საუკეთესო შედეგი აჩვენეს ადგილობრივი მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების მხრივ.

წლის საუკეთესო მასწავლებლები არიან:

მარინა ბედოშვილი – „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ კონსულტანტ-მასწავლებელი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლა;

იზა გვირჯიშვილი – „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ერთ-ერთი ძველი მონაწილე, სოფელ ბოლნისის საჯარო სკოლის კონსულტანტ-მასწავლებელი;

ლალი დალაქიშვილი – „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ კონსულტანტ-მასწავლებელი, ასევე სოფელ ბოლნისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ტრენერი, რომელიც ზრუნავს პროგრამის ახალგაზრდა კადრების პროფესიულ განვითარებაზე.

მარინე მინასიანი – სოფელ ბოლნისის საჯარო სკოლის პედაგოგი;

ამირა ისმაილოვა – სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლის პედაგოგი;

ლიანა ინწკირველი – მხცოვანი წამყვანი მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი, ქიმიის მასწავლებელი კომაროვის სკოლიდან, რომელიც მიუხედავად მრავალწლიანი სტაჟისა და პრაქტიკისა, წინ მიიწევს და პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული.

დაჯილდოვდა პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ 3 მონაწილე, რომლებმაც, ცენტრის ინფორმაციით, წელს მიიღეს პორტფოლიოს უმაღლესი შეფასება, წარმართავენ ეფექტურ გაკვეთილებს, აქტიურად მუშაობენ სასკოლო პროექტების გამოყენებით, თანამშრომლობენ ადგილობრივ თემთან და, რაც მთავარია, პროფესიულ განვითარებაზე არიან ორიენტირებული: **დავით ჩივაძე** – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის ისტორიის მასწავლებელი; **ნესტან მიქაძე** – ფიზიკის მასწავლებელი წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარების სკოლიდან; **ლიანა მამულაშვილი** – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

პირველად დაჯილდოვდა სპეციალური მასწავლებელი – **მანანა ჯადუგიშვილი,** 150-ე საჯარო სკოლიდან.

ალექსი ხუნჯუა – პროფესიული განათლების მასწავლებელი, ფიზიკოსი, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელმაც 2000-იან წლებში გადაწყვიტა ახალი პროფესიის – მზარეულის პროფესიის ათვისება და უკვე წლებია, წარმატებული კარიერა აქვს როგორც პრაქტიკოსს, ასევე როგორც პედაგოგს. არის პროფესიონალი მზარეული, კოლეჯ „იკაროსის“ ლექტორი, ასევე ფასილიტატორი და ტრენერი, რომელიც კოლეგების პროფესიულ განვითარებაზეც ზრუნავს.

ნანა აბუაშვილი, დამწყები მასწავლებელი – სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების მასწავლებელი.

ასევე დაჯილდოვდა „მსოფლიო მასშტაბური გაკვეთილის“ გამარჯვებულ წყვილთა ხუთეული: თბილისის 126-ე საჯარო სკოლა, XI კლასი – **დალი კოტრიკაძე, მანანა სეხნიაშვილი;** 24-ე საჯარო სკოლა, XI კლასი – **ნინო ქიტიაშვილი, ნინო ბაკურაძე;** ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა, XI კლასი – **მარინე ქიტიაშვილი, ნაზიკო კაპანაძე;** ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლა, XII კლასი – **მარი ყურაშვილი, მზია ყურაშიძე;** სოფელ ზემო ოროზმანის სკოლა – **მადონა უდესიანი, ქეთევან სვანიძე.**

მოამზადა მაკა ყიფიანმა

ევროპული ენების დღე თელეთის საჯარო სკოლაში

26 სექტემბერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის თელეთის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ნინო მერაბიშვილი**), ევროპული ენების დღე აღინიშნა.

უცხოური ენების კათედრამ (მასწავლებლები: **ნინო მერაბიშვილი**, **ჟუჟუნა ქურასბედიანი**, **შორენა ფირცხალავა**, **ნანა ჩხეიძე**), VII კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, ჩაატარა ღონისძიება „26 სექტემბერი – ევროპული ენების დღე“.

კედლებზე გამოიკრა ევროკავშირის დროშა, ცნობილი ადამიანების გამონათქვამები ენის შესახებ როგორც ინგლისურ, ასევე გერმანულ ენებზე.

ღონისძიება გაიხსნა ევროკავშირის ჰიმნით. მოსწავლეებმა ისაუბრეს 26 სექტემბერზე და უცხოური ენების სწავლისა და ცოდნის მნიშვნელობაზე. წარმოთქვეს ლექსები ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

გოგონებმა შეასრულეს ცეკვა Schwesterchen komm, tanz mit mir. ხალისით შესრულდა სხვადასხვა ევროპული ცეკვები. მოსწავლეებმა – **ნინო გაბრიელაშვილმა** და **მარი ბუდაღაშვილმა** – იმღერეს „სულიკო“ ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. მათ დახმარება გაუწია მუსიკის მასწავლებელმა **ანა ხარაძემ**.

ღონისძიების დასასრულს, კვლავ გაჟღერდა ევროკავშირის ჰიმნი, რამაც ამაღლებული განწყობა შექმნა მასწავლებლებსა და მოსწავლეებში. ეს დღე დაუვიწყარი იქნება მეშვიდეკლსელთათვის, რადგან ბევრი რამ გაიგეს ევროპული ენების დღის შესახებ, შეისწავლეს ლექსები, სიმღერები და ცეკვები, კარგად იხალისეს, იმხიარულეს, იცეკვეს.

უცხოური ენების კათედრა

კვლევა

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები – როგორ გავხდეთ მიმზიდველი უცხოელი სტუდენტებისთვის

ლალი ჯელაძე

PMC კვლევითმა ცენტრმა საქართველოში საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის პერსპექტივების შესახებ კვლევის შედეგების პრეზენტაცია და საჯარო განხილვა მოაწყო.

კვლევა PMC კვლევითი ცენტრის მიერ, „პოლიტიკის კვლევა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა და მის მიზანს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის პოლიტიკის და არსებული ვითარების ანალიზი, საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვისთვის ძირითადი ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი წარმოადგენდა.

„დღესდღეობით, საქართველომ მიაღწია განვითარების იმ დონეს, როდესაც შეუძლია საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარს შესთავაზოს პოტენციურად კონკურენტული პროდუქტი და ამით გაზარდოს ქვეყნის ინტელექტუალური და ეკონომიკური შესაძლებლობები“ – განაცხადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელმა და PMC კვლევითი ცენტრისა და კონრად ადენაუერის ფონდის ერთობლივი პროექტის მკვლევარმა **ანა ჟვანიამ**.

კვლევის შედეგად, საქართველოში განათლების ინტერნაციონალიზაციაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები გამოიყო, შემუშავდა რეკომენდაციები და კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევას, კერძოდ: აკრედიტაციის და ავტორიზაციის სისტემის ოპტიმიზაცია, გაწევრიანება საერთაშორისო სააკრედიტაციო სისტემებში; მართვის დეცენტრალიზაცია და უნივერსიტეტების ავტონომიურობის გაზრდა; აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაცია; სტუდენტური დაბინავების პროგრამის შემუშავება; სტუდენტებისთვის და მკვლევრებისთვის ინდივიდუალური სტიპენდიების სისტემის შემუშავება; უცხოურ საგანმანათლებლო პარტნიორებთან ერთობლივი დიპლომის გაცემა.

ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** დაესწრო. მისი თქმით, საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია კომპლექსური თემაა და მასზე ზრუნვა, ერთდროულად, დადებითად იმოქმედებს როგორც განათლების ხარისხის ზრდასა და ამ სექტორის განვითარებაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე გრძელვადიან პერიოდში.

დღევანდელი მონაცემებით, 2015-16 სასწავლო წლებში, ჩვენს ქვეყანაში, 138 900 სტუდენტიდან (ბაკალავრი და მაგისტრი) 6643 უცხოელი სტუდენტია, მათგან უმეტესობა სამედიცინო მიმართულებით სწავლობდა. პროცენტულად, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა 57%-ს შეადგენდა და აქედან 36% – აზერბაიჯანიდან, 22% – ინდოეთიდან, ხოლო 12% ერაყიდანაა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა აცხადებს, რომ: *„დღეს 7 ათასამდე უცხოელი სტუდენტი გვყავს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ გვექნება კარგად ორგანიზებული ძალისხმევა, ეს რაოდენობა ძალიან მალე გაორმაგდება. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უცხოელი სტუდენტები მხოლოდ იმისთვის კი არ გვჭირდება, რომ თანხა შემოვიდეს, არამედ იმისთვისაც, რომ ეს თანხა ქართველი სტუდენტების უფრო ხარისხიან განათლებას მოვახმაროთ“.*

მინისტრი სტუდენტების მოზიდვის თემაზე აგვისტოში გამართული ამბასადორიალის დროს შეხვდა და ესაუბრა ქართველ ელჩებს, რომლებიც ჩამოსული იყვნენ საქართველოში, ასევე დანარჩენი ქვეყნების ელჩებსაც, რომლებიც ამ დროს არ იმყოფებოდნენ ჩვენს ქვეყანაში.

ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, რომ მარტივ გათვლებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, საქართველოს ეკონომიკაში, კონკრეტულად განათლების სისტემაში, იმდენი ფული შემოვიდეს, რამდენიც მასზე ჯამურად იხარჯება.

ამ მიმართულებით ძალიან საინტერესო მონაცემი გამოავლინა PMC-ს კვლევამაც. უცხოელმა სტუდენტებმა, სწავლისა და საცხოვრებლის ხარჯების მიხედვით, **საქართველოში, დაახლოებით, 40 მილიონი აშშ დოლარი დახარჯეს. მოცემული დაანგარიშება არის მინიმალური პირდაპირი ეკონომიკური ეფექტის მაჩვენებელი, სამუშაო ადგილების და სხვა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. დათვლისას უცხოელი სტუდენტების რაოდენობა – 6 643 გამრავლდა სწავლის საფასურის სამუშაო მაჩვენებლის ქვედა ზღვარზე (3 000 დოლარი), ხოლო სხვა ხარჯებში გათვალისწინებული იყო მხოლოდ საცხოვრებლის ხარჯი, ქირის სახით, 300 დოლარის ოდენობით, 10 თვის განმავლობაში. დათვლაში არ შედის საკვების, სამედიცინო მომსახურების, კომუნიკაციის, ახლობლების ჩამოსვლის, ტრანსპორტის და სხვა ხარჯები.**

მართალია, სრულად ჯერ არ დათვლილა ის შემოსავალი, რასაც საქართველოს ბიუჯეტი უცხოელი სტუდენტებისგან იღებს, მაგრამ უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება ანა ჟვანიამ იმის საილუსტრაციოდ მოიყვანა, თუ რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება ნახოს ქვეყანამ მათი მოზიდვით, მაგალითად, **2014-15 წელს აშშ-ს უნივერსიტეტებისა და კოლეჯების 974 926 უცხოელი სტუდენტისგან მიღებულმა შემოსავალმა 30.5 მილიარდი დოლარი შეადგინა და 373 000 სამუშაო ადგილი უზრუნველყო. შვეიცარიაში ერთი სტუდენტი წელიწადში, საშუალოდ, 19 500 ევროს ხარჯავს, პოლონეთში – 4 800-ს, ესპანეთში – 9 000-ს, ჰოლანდიაში – 11 400-ს. 2011 წელს გერმანიაში ჩამოსულმა 160 702-მა სტუდენტმა მხოლოდ არასასწავლო მიზნებზე, დახარჯა 1 531 მილიარდი ევრო (2.09 მილიარდი $), შექმნეს 400 მილიონი ევრო ფისკალური შემოსავალი (თითოეულმა სტუდენტმა ბიუჯეტში 2 500 ევრო შეიტანა), შეიქმნა 22 000 ახალი სამუშაო ადგილი.**

საინტერესოა ისიც, რომ ეკონომიკური სარგებლის გარდა, განათლების ინტერნაციონალიზაცია ქვეყნის ცნობადობასაც ზრდის. სტუდენტების, დაახლოებით, 20-30% მასპინძელ ქვეყანაში რჩება ან მასთან სამუშაო/ბიზნეს კავშირებს ამყარებს.

უნივერსიტეტები, რომლებიც უცხო ქვეყნის სტუდენტებს მასპინძლობენ, მათ მოსაზიდად, სასწავლო გარემოს მაქსიმალურად მიმზიდველსა და მათთვის ხელმისაწვდომს ხდიან. შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს ქმნიან მათთვის, რადგან ყველა განვითარებული ქვეყნის სტრატეგიული მიზანია ინტერნაციონალიზაციისათვის მდგრადი და განვითარებადი გარემოს შექმნა. ამ პროცესში ჩართულია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორი. მაგალითად, ჰოლანდიის უმაღლესი განათლების პროგრამების 79% ინგლისურ ენაზეა, ესტონეთი 100-ზე მეტ აკრედიტებულ პროგრამას სთავაზობს სტუდენტებს ინგლისურ ენაზე. მკვლევრის აზრით, ინტერნაციონალიზაციამ უნდა აამაღლოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხი. საქართველოში უნდა შეიქმნას უფრო მეტი ინგლისურენოვანი პროგრამა და ხელი შეეწყოს საერთაშორისო ლექტორების მოწვევას. *„თუმცა, არ არის აუცილებელი უცხოელი სტუდენტებისთვის პროგრამები მხოლოდ ინგლისურ ენაზე, მთავარია, სტუდენტისთვის მისაღებ ენაზე ითარგმნოს. უბრალოდ, ინგლისური ენა საერთაშორისო კომუნიკაციის ენაა და ამიტომ ვითხოვთ, ბაკალავრიატის სტუდენტებმა, უკვე მეორე ან მესამე კურსიდან, შეძლონ ინგლისურენოვანი პროფესიული ლიტერატურის კითხვა. პირადად მე ხშირად ვიყენებ ძალიან ბევრ წყაროს ინტერნეტიდან, რომელიც, ძირითადად, ინგლისურ ენაზეა. თუ ჩემი მოთხოვნა ბაკალავრიატის მეორე-მესამე კურსისთვის ასეთია, სასურველია, შესაბამისმა პროფესორმა, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტისთვის, კურიკულუმი ინგლისურ ენაზე თარგმნოს, ყოველ შემთხვევაში, გასაგები მაინც უნდა იყოს უცხოელი სტუდენტისთვის, რასთან აქვს საქმე. არ ვამბობ, რომ ყველა სასწრაფოდ გადავიდეს ინგლისურ ენაზე სწავლებაზე, მაგრამ გარკვეული ელემენტები აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ინგლისურად. ადამიანი, რომელიც პროგრამას ორ ენაზე წარმართავს, აუცილებლად უნდა იყოს წახალისებული მატერიალურად. მთავრობა უნდა ფიქრობდეს, როგორ დაეხმაროს განათლების სამინისტროს არა მხოლოდ თანხობრივად, არამედ სხვა მხრივაც,“* – ამბობს ანა ჟვანია.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდისთვის, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს, რაც ხელშემწყობ და მასტიმულირებელ გარემოს შექმნას გულისხმობს. ერთ-ერთია უნივერსიტეტების დეცენტრალიზაცია, რისთვისაც, პირველ რიგში, პოლიტიკური ნებაა საჭირო. მაგალითად, საერთაშორისო სტუდენტების ნაკადის მართვაში სახელმწიფო ყველა უნივერსიტეტს ეხმარება და მათ იმის განცდას უკარგავს, ამ პროცესში თავად იყვნენ აქტორები.

ასევე, დაინერგოს ელექტრონული განათლება, რაც გახდება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობა – მასობრივი ონლაინ კურსები. დასავლეთის ევროპული უნივერსიტეტების 72%-ს უკვე აქვს ან გეგმავს მასობრივ ღია ონლაინ კურსებს (MOOC). 25 მილიონი ადამიანი დარეგისტრირდა ონლაინ კურსებზე. ამისთვის, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, განათლების მიღების ერთ-ერთ ფორმად სახელმწიფო აღიარებს ონლაინ და შერეული სწავლების ფორმებს და ამ გზით მიღებულ დიპლომს მიიჩნევს კვალიფიციურად. ასევე, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, შეიქმნას ერთიანი ინტერნეტრესურსი: Study in Georgia – ვირტუალური სერვის ცენტრი მომსახურების ფართო სპექტრით – ქვეყნის, სისტემის და უნივერსიტეტების პოპულარიზაციის კამპანია, უნივერსიტეტების და საგანმანათლებლო პარტნიორების თანამშრომლობის პლატფორმა, ინტეგრირებული საერთაშორისო საძიებო და საგანმანათლებლო სისტემები. ეს არის, ფაქტობრივად, ვირტუალური რესურსცენტრი, რომელიც დაეხმარება როგორც პოტენციურ სტუდენტს, ისე უმაღლეს სასწავლებელს.

„კვლევის შედეგად ორი რეკომენდაცია გამოიკვეთა – ელექტრონული განათლება და Study in Georgia – რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ ფინანსურ ძალისხმევას ან დიდ საკანონმდებლო ჩასწორებას არ მოითხოვს. მაგალითად, ჩვენ რომ გვქონდეს სწავლების შერეული კურსი – დისტანციურ-პრაქტიკული (ჩამოსული სტუდენტი პრაქტიკულ კურსს აქ, ადგილზე, კონკრეტულ სასწავლებელში გაივლის), საშუალება მოგვეცემა, უფრო მოქნილ, ხელსაყრელ და გამჭვირვალე პირობებში წარიმართოს სწავლება, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. თავისთავად, ასეთი ტიპის სწავლება მიბმული იქნება ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაზე და უცხოელი სტუდენტისგან თანხაც იგივე შემოვა, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში, რადგან იმავე ოდენობის სწავლის საფასურს გადაიხდის. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ასე უფრო დამაჯერებელი, შედეგიანი და ხარისხიანი გახდება. სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა საერთოდ არ განიხილავს ამგვარი ტიპის სწავლებას, თუმცა უშვებს, რომ ასეთი ფორმა შეიძლება არსებობდეს. მაგრამ, ვინაიდან ჯერ კიდევ ძალაშია აკრედიტაციის პროცესი, სახელმწიფო სასწავლებლებისთვის კანონმდებლობა უფრო მნიშვნელოვანია, თავის სააკრედიტაციო პირობებით დადგენილი მოთხოვნებით (ფართის კვადრატული მეტრობითა თუ სხვ.), ასეთ პრობებში დისტანციური სწავლების აღიარება რეალურად არ ხდება. გარდა ამისა, ჩვენ არ ვაღიარებთ ონლაინ კურსებით მიღებულ კვალიფიკაციას. მაგალითად, ჩამოდის უცხოელი, რომელმაც საერთაშორისო სტატისტიკაში სერტიფიკატი ერთ-ერთ ძალიან სერიოზულ უნივერსიტეტში მიიღო, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ ვუღიარებთ. ამ შემთხვევაში, ავტომატურად, არც იმ უნივერსიტეტის ხარისხს ვაღიარებთ და არც ონლაინ მიღებულ განათლებას, რადგან მას სრულყოფილ განათლებად არ მივიჩნევთ. დამეთანხმებით, რომ ასეთი ტიპის ჩასწორებები ჩვენს კანონმდებლობაში აუცილებელია და სულაც არ მოითხოვს სერიოზულ დანახარჯებს ან დიდი პროგრამების განხორციელებას.“

ანა ჟვანია ხარისხის გართულებულ აღიარებას ბიუროკრატიულ ბარიერს უწოდებს და ამბობს, რომ ასეთი ფორმით ხარისხის აღიარება სიკეთის მომტანი არავისთვის არ არის: *„იმისთვის, რომ ვიღაცას ვუღიაროთ განათლების ხარისხი, ყოველ ჯერზე მისი გადამონმება ხდება. მაგალითად, თქვენ დაამთავრეთ კემბრიჯის უნივერსიტეტის ბაკალავრიატი და გინდათ ჩაირიცხოთ*

კვლევა

თსუ-ში რომელიმე ფაკულტეტზე, თქვენ პირდაპირ უნივერსიტეტის დოკუმენტებით კი არ მიდიხართ თსუ-ში, არამედ, პირველ რიგში, ნოტარიუსში თარგმნით და ამოწმებთ, შემდეგ კი მიმართავთ სამინისტროს ერთ-ერთ სსიპ-ს, რომელიც შეგიმოწმებთ ხარისხს. რისთვისაა საჭირო ასეთი ბიუროკრატიული ბარიერი, რომელიც, პრინციპში, არავის არაფერს უკეთებს. უნივერსიტეტებს აფასებენ შედეგებით (სტუდენტებით, კვლევებით და ა.შ.) და არა იმით, ვინ როგორ ჩააბარა. ეს შედეგზე ორიენტირებული განათლებაა და არა ჩაბარებაზე, რადგან სისტემამ ხარისხი აუცილებლად შედეგით უნდა შეამოწმოს.".

და მაინც, რა გვიშლის ხელს, რომ უფრო მეტი უცხოელი სტუდენტი მოვიზიდოთ? ანა ჟვანიას მიაჩნია, რომ: *„დამაბრკოლებელი ფაქტორი, პირველ რიგში, არის ის, რომ ჩვენი განათლების ხარისხი საერთაშორისო ბაზრისთვის უცნობია. გასაგებია, რომ სხვა ბევრი რამ იციან საქართველოს შესახებ, მაგალითად, ის, რომ ქვეყნაში დაბალია ტერორიზმის თუ კრიმინალის დონე, მაგრამ გადამწყვეტი მაინც განათლების ხარისხია. ადამიანმა, რომელიც განათლებას ყიდულობს, აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რას ყიდულობს – როგორია განათლების ხარისხი და მისი აღიარება საერთაშორისო დონეზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმ პროცედურების გამარტივება, რომელიც სტუდენტებმა ჩვენს სასწავლებლებში ჩასარიცხად უნდა გაიარონ."*

გაცვლითი პროგრამების შემთხვევაში, ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქე სტუდენტისთვის ისევ პრობლემური რჩება ვიზის გაცემის საკითხი, რადგან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აკადემიურ ვიზებს არ გასცემს და მათ ტურისტული ვიზით უწევთ ჩამოსვლა. მაგალითად, ნიგერიაში ჩვენი საელჩო არ არის და არც ელექტრონულად ვიზის გაცემა ხდება, ამიტომაც ნიგერიის მოქალქეებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უწევთ ჩასვლა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ვიზის ლოდინი, რომელსაც ან მიიღებენ, ან არა. ეს ყველაფერი კი რამდენიმე ათასი დოლარი უჯდებათ. მაშინ, როცა შესაძლებელია, თუნდაც ერთი თვით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკონსულო მომსახურება შესთავაზოს ნიგიერიელ სტუდენტებს და ამით გაუადვილოს იმ ბარიერების გადალახვა, რაც საქართველოში სწავლის გზაზე ეღობებათ. მთელ მსოფლიოში არსებობს მსგავსი პრაქტიკა. ამის გარდა, სტუდენტის ჩარიცხვა ხდება სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე. ამიტომაც ვამბობ, რომ სასურველია დაიხვეწოს როგორც ვიზასთან, ისე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები და გახდეს უფრო სწრაფი და ხელმისაწვდომი უცხოელი მოქალაქისთვის.

ჩვენი ვიზა არ ითვალისწინებს არც მათ ინტერესებს, ვინც 4 ან 5 თვითაა ჩამოსული არა საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამებზე, არამედ უნივერსიტეტში კონკრეტული ლექციების მოსასმენად. მაგალითად, რომელიმე სტუდენტს სურს ილიას უნივერსიტეტში მოისმინოს გია ნოდიას ლექციების კურსი, სამწუხაროდ, დღესდღეობით, ეს არ არის საფუძველი, რომ სასწავლო ვიზა გაიცეს (სასწავლო ვიზა გაიცემა სრულ აკრედიტირებულ კურსზე და ის ადამიანი აუცილებლად უნდა ირიცხებოდეს კონკრეტულ სასწავლო პროგრამაზე). ამიტომაც თვითდინებით მოსულ ადამიანს, რომელსაც კონკრეტული ლექციის მოსმენა აინტერესებს და მზად არის ამისთვის, უნივერსიტეტს გარკვეული საფასური გადაუხადოს, ჩვენ ამის საშუალებას არ ვაძლევთ. არადა, ეკონომიკური შედეგი ქვეყნისთვის ასეთი ტიპის სწავლის დროსაც ზუსტად იგივეა, რაც სხვა შემთხვევების დროს. ასეთი ფორმა ტურიზმისა და სწავლის გარდამავალი მომენტია, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს."

ალექსანდრე ჯეჯელავა დაჰპირდა საზოგადოებას, რომ ისე ჩააბარებს ყოველკვარტალურ ანგარიშს საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის შესახებ, როგორც ითვლიან საქართველოში ტურისტების რაოდენობას. მისი დაპირებით, შეიქმნება სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის ზრდისკენ – შეიქმნება პლატფორმა Study in Georgia, რაც დაეხმარება საერთაშორისო სტუდენტებსა და საქართველოს უნივერსიტეტებს ერთმანეთის პოვნაში.

მინისტრის თქმით, განათლების ინტერნაციონალიზაცია დადებით გავლენას პოლიტიკურ ასპარეზზეც ახდენს. *„დარწმუნებული ვარ, ის ვინც საქართველოში ისწავლის და მერე დაბრუნდება სამშობლოში, საქართველოს პატარა ნაწილს გულით წაიღებს და ისინი ჩვენი მომავალი ინვესტორები და მხარდამჭერები იქნებიან".*

პრეზენტაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მას, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გარდა, პრაქტიკულად ყველა ის დონორი ესწრებოდა, რომელიც ამ სფეროშია ჩართული, ასევე, თსუ-ს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორები, დეკანები და განვითარების სამსახურების წარმომადგენლები როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლებიდან, დაინტერესებული მხარეები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

„კვლევის დროს 30-ზე მეტი ჩაღრმავებული საექსპერტო ინტერვიუ ჩავიწერე საგანმანათლებლო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, მენეჯერებთან და ექსპერტებთან. წარმოდგენილი კვლევის რეკომენდაციები სწორედ მათი ნაazრევისა და ნაფიქრალის შეჯერებული ვარიანტია. პრეზენტაციაზე ამდენი ადამიანის მოსვლა კი იმას ადასტურებს, რომ ჩვენი მხრიდან დიდია ინტერესი და მზაობა, რომ ეს კარგად გავაკეთოთ" – ამბობს ანა ჟვანია.

PMC-ის კვლევითი ცენტრის დირექტორმა, **მაია გრიგოლიამ**, განაცხადა, რომ ცენტრის ინიციატივაა Study in Georgia-ს პერსპექტივების შესწავლა საქართველოში, რაც იმას გულისხმობს, რომ საქართველო გახდეს მიმზიდველი ადგილი უცხოელი სტუდენტებისთვის: *„ინტერნაციონალიზაცია განათლების სფეროში ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს, განათლებაში სწორი ინვესტირება კი, ადამიანის შესაძლებლობებისთვის ასპარეზის გახსნა, საქართველოსთვის – მთავარი ამოცანა. რადგან ინვესტირება შეზღუდულია, ამიტომაც მთავარია მისი სწორად პრიორიტეტიზაცია."*

მოსწავლე შემოქმედი

სოფო ჯორჯაძე
რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი, პროგრამა სენტ ეგზიუპერი, VIII კლასი

მემუარი

მოგონება – ეს არის ენით აღუწერელი, ბუნდოვანი, გრძნობით გაჯერებული კადრი, რომელიც ხშირად გარბის შენ თვალწინ. მოგონება – ეს არის ლექსის კიდევ ერთი სტროფი, რომელიც ხშირად დავიწყებას მიეცემა. თუმცა ყოველთვის შეიძლება მისი თაროდან, ქვეცნობიერიდან ჩამოღება, მტვერის გაცლა და კვლავ ცხოვრებისეული რიტმით დატკბობა.

შვიდი წლის დაგროვილი ნისლის გაფანტვა რთული იქნება, თუმცა შევეცდები, რომ იმ დროისთვის მოზღვავებული გრძნობა უჭირვეულოდ მოვაქციო ერთ ფურცელზე.

სკოლის დაწყებისკენ ყველა პატარა ისწრაფვოდა, მათ შორის მეც. პირველივე დღეს, სირბილით მივდიოდი იმ ნანატრ ადგილას, თუმცა მის ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე საოცარმა შიშმა გამაჩერა, ნაბიჯის გადადგმა აღარ ძალმიძდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მე ის ზარი მიხმობდა, რომლის გაჟღერებაც ამდენი ხანი მწყუროდა. არ ვიცი, რა შიში იყო ეს, მაგრამ დანამდვილებით მახსოვს, რომ იგი ნელ-ნელა გროვდებოდა და თოკავდა ჩემი გულის მისწრაფებას. პატარა ეზო, რომელიც სავსე იყო თვალებგაბრწყინებული ბავშვებით, უკიდეგანო სივრცე მეგონა, დიდი უდაბნო, სადაც მხოლოდ მე და ჩემი ფიქრები ვიყავით დამწყვდეულნი. აი, მაშინ კი, ასეთ შეუსაბამო დროს, მეგობრის პოვნა იყო საჭირო, რატომღაც ასე მოგვეთხოვებოდა, მათთან ერთად უნდა გაგვევლო წითელ ხალიჩაზე, მაგრამ ყველა უკვე წყვილ-წყვილად დადიოდა. სახეები სწრაფად ირეოდა ჩემ თვალწინ, კისკისი და ყიჟინა, ქვითინიც კი აღწევდა ჩემ ყურამდე. უცებ რომელიღაცა ბავშვმა მომაპყრო მზერა და გამიღიმა. უცნობმა ძალამ ხელი მკრა და ნაბიჯებს მადგმევინებდა. თუმცა ყველა ის იმედი, რომელიც აქამდე მინათებდა გზას, გაქრა და გოგონასთან მიახლოებისას დავრწმუნდი, რომ მას უკვე ეპოვნა თავისი წყვილი. თავგზა ამებნა, თვალები უკვე ყველა მიმართულებით მირბოდნენ, თავი მართლაც დამცირებულად ვიგრძენი, მინდოდა ჩემთვის, მარტო, გულამოსკვნილი მეტირა, მაგრამ დაძაბულობამ ყველანაირი ცრემლი გააშრო, ყოველგვარი მზის სხივი გააქრო... ბოლო ძალები მოვიკრიბე და თამამად გადავდგი ნაბიჯები, თითქოს ლიანდაგზე დავდიოდი და მატარებელი გამაყრუებელი ხმით მოიწევდა ჩემკენ, მაგრამ ეს ხმა რამდენიმე სიტყვით ჩაახშო:

– გამარჯობა, რა გქვია?

– რამდენიმე წამი სულგანაბული ვიდექი, შემდეგ კი დიდი ტვირთი მოვიხსენი და ვუპასუხე: სოფო, შენ?

„უცნობი ქალის წერილი"

ანოტაცია

რთულია, როდესაც სიკვდილის პირას ხელებს მხოლოდ მდუღარე ცრემლები გითბობს, როდესაც სხეულს ყიდი იმისთვის, რომ ცხოვრება შვილისთვის ტკბილი იყოს, მაგრამ როდესაც გაქვს მწარე, მრავალი წლის მოყოლებული სევდა, როდესაც უსულო შვილს შეჰყურებ თვალებში, აკანკალებული ხელით, ათრთოლებული ბაგით, აქსოვ ერთ ფურცელში ამ 13 წლის გრძნობას და რთულია, როდესაც შვებისმომგვრელად მხოლოდ სიკვდილს მიიჩნევ... ქალი, რომელიც საზრდოობდა მხოლოდ საყვარლის შორიდან ჭვრეტით, რომლისთვისაც უკიდეგანო სივრცე არ იყო საკმარისი მისი სიყვარულის დასატევად, მაინც ახერხებს, რომ ზეცას გულხელდაკრეფილი მიეცეს, იმ ზეცას, რომელმაც ერთი დღის წინ ბავშვის სული წაართვა.

სამყარო ქალისთვის ერთ მიზნად იქცა, რომ შორიდან მაინც დალაპარაკებოდა იმ სატრფოს, რომელსაც არც კი ახსოვდა ქალის სილამაზე, სილამაზე, რომელიც სანთელივით ჩაიწვა სასუფეველთან და ქალის სიყვარული, რომელიც სანთლის ალივით მაინც არ ქრებოდა, მაგრამ მისი მოსპობა მცირე ნიავით იყო შესაძლებელი, ნიავით, რომელმაც ასე შორს გადაიყვანა ქალი, თუმცა ამ მანძილს მათ შორის, ქალის სიყვარული ავსებდა.

ჩანახატი

აღელვებული, მძვინვარე ტალღები კლდეებს აწყდებოდა; ბუნებას თავბრუდამხვევი მელოდიით აღავსებდა და ათას ცრემლს ფანტავდა აქეთ-იქით. ზღვა ყოველგვარ სანთელს აქრობდა. სინათლეს შთანთქავდა და ჩამოწოლილ წყვდიადში მხოლოდ მთვარეს ტოვებდა უვნებელს. მთვარეზე შეყვარებული, აბობოქრებული ზღვა, მხოლოდ მის სინათლეზე წყნარდებოდა, სინათლეზე, რომელიც ხალიჩასავით ეფინებოდა წყალს. სწორედ ამ სინათლეზე გამოიარა გემმა, უზარმაზარმა, ბუნების რისხვას გადარჩენილმა გემმა, რომელშიც გული კვლავ ძგერდა, პატარა მაგრამ დიდი იმედით აღსავსე გული.

გოგოს დანამული თვალები გემის ჭუჭრუტანიდან ჩანდა, ჩანდა როგორ ასკდებოდა ცრემლები და როგორც უშრებოდა წამწამებზე. ისმოდა მისი გულის ბაგა-ბუგი, რომელსაც გამაყრუებელი სიჩუმე ახშობდა, ისმოდა მისი სლუკუნი, რომელიც სულში გულამოსკვნილ ტირილად გარდაიქმნებოდა. ბავშვი მთელი თავისი არსებით ელოდებოდა იმ ქალს, რომელიც ზღვის ნაპირას იჯდა, დაუძლურებული ითმენდა ტკივილს და შვილის მოლოდინში ათენებდა ღამეებს.

ზღვის წყნარი ტალღები აკვანივით არწევდა გემს, რომელიც ნელ-ნელა მიიწევდა მიწისკენ, სადაც დედა კანკალით ელოდა შვილს, დედას სცივა, გული გაყინული აქვს და თან ამჩნევს, რომ ზღვა იწყებს ღელვას, თუმცა არა ისე, როგორც დედის ფაქიზი გული, რომელსაც სჯეროდა, რომ შვილის კულულებს ვეღარასდროს იხილავდა, სჯეროდა, რომ ისინი ზღვამ წაიღო, რწმენა ხელიდან ეცლებოდა და ქარს ატანდა, მაგრამ ქვასავით უდრეკელი სიყვარული აკავებდა. მონატრებით გაჯერებული ტკივილი თვალებს უნამებდა... აი, ამ მონატრებამ დედა შეიპყრო, გააბრუა, ყურში ესმოდა ბავშვის ნარნარი ხმა და კიდევ უფრო იტანჯებოდა, ქარმა ქალის თვალებს ქუთუთოები ფარდასავით ჩამოაფარა, თვალებს, რომლებმაც ვეღარ ნახეს გემის მოახლოება... შვილს კი გაორებული გრძნობა დაეუფლა – დედის მკლავებში გაეხვეოდა და ეს მკლავები შეიძლება არც თბილი ყოფილიყო და არც ცოცხალი, სასოწარკვეთილი მივარდა დედის სხეულთან, მოკიდა მაჯაზე ხელი და ღმერთს ვედრება დაუწყო. დედა დამფრთხალი წამოდგა, შვილს თვალი თვალში გაუყარა, უბრალო აჩრდილი ეგონა, მაგრამ ძილ-ბურანში გახვეული ქალი ბავშვის ერთმა ნაცნობმა სიტყვამ გამოიყვანა:

– დედა!

გრძნობამ, რომელსაც ბედნიერება ეწოდება აღვირი აიშვა და საზღვრებს გარეთ გამოვიდა. ბედნიერება – ეს არის ყელსაბამი, თხელ ძაფზე აგებული მარგალიტები, რომლებსაც გულთან ახლოს ვიკიდებთ. შეიძლება იგი შენმა ბედმა გაწყვიტოს, თუმცა თუ ყველა სათუთ ქვას საგულდაგულოდ მოაგროვებ, ის ისევ შენი ცხოვრების ნაწილი გახდება. აი, ამ სამკაულით შემოსილი, სულით მდიდარი დედა-შვილი, ისევ და ისევ მთვარის შუქზე აჩრდილებივით გაუჩინარდნენ სიბნელეში...

პორტრეტი

სახის ნაკვთებით, გარკვეულწილად, შესაძლებელია ადამიანის ამოცნობა, შესაძლებელია მისი ხასიათის, მდგომარეობის გაგება....

ტრადიციულ, რიკულებიან სახლში ერთ ქალს შეხვდებით, სულ მარტო მცხოვრებს...

ოთახში ცეცხლი იშვიათად თუ გიზგიზებს, რა გასაკვირია რომ მკაცრი სამუშაო მისი სათუთი ხელების შესაძლებლობებს აღემატება. პატარა ოთახში ორნამენტებიან ხალიჩასაც წააწყდებით, სადაც ერთი-ორი დაკუპრული ლაქაც არის, მიუხედავად იმისა, რომ სახლში მყუდროებას სისუფთავე ჰქმნის. ერთი ფანჯრიდან შემოსულ სინათლეს, ხავერდის მწვანე ფარდა ფარავს, ამიტომაც ოთახს დამთრგუნველი იერი აქვს, რაც განსხვავდება პატრონის ხასიათისგან. კუთხეში მოჩუქურთმებული და ჟამთა სვლას მოყოლებული სავარძელი დგას, მასთან რამდენიმე წიგნის თარო. აქ ქალი ყველაზე მეტ დროს ატარებს, ხანდახან თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე წერს, თუმცა არავინ იცის რას. თვითონ ქალს მშვიდობიანი იერი აქვს, მის ნაკვეთებზე სიანჩხლის ნატამალიც კი არ იკვეთება, თუმცა არც საინტერესო ხასიათი აქვს. ურთიერთობაც არ ჰქონია საზოგადოებასთან, ამიტომაც გულცივად იყვნენ სხვები განწყობილნი, ალბათ ასეთ პერსონაჟს სილამაზეც უნდა დაჰკრავდეს, მაგრამ არა, სიგამხდრისგან დაუძლურებულ ქალს შეუხედავი სახე აქვს; ღიმილში – ლმობიერებას ამოიკითხავთ, ხოლო საუბარში – გონიერებას, მაგრამ მის თვალებში რამის ამოკითხვა შეუძლებელია.

ქალბატონს ძალიან უყვარს უცხოური ნაწარმოებების კითხვა, რაღაც განსაკუთრებულ სიმშვიდეს პოულობს მათში. კითხვის დროს მის შეუხედავ სახეს კაჟივით ძლიერი რწმენა ეუფლება, რწმენა იმისა, რომ ამბის გადმოტანა მის ცხოვრებაშიც შეიძლება. დღე დღეს ებჯინება, წელი წელიწადს, მაგრამ მისი იმედი ასე მარტივად არ ორთქლდება. ახლაც ზის შავ კაბაში, იმ სავარძელზე, სადაც მისი წინაპრები ისხდნენ და მღელვარებით მიუყვება ხაზებს, ისწრაფვის ახალი ნუგეშისკენ, რომელიც ასე სჭირდება...

ქართველი სამბისტების წარმატება

დიდი წარმატებით იჭიდავეს ქართველმა სამბისტებმა ბუქარესტში ჩატარებულ ახალგაზრდებისა და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც გოგონებმა და ბიჭების ორივე ასაკის გუნდმა, ჯამში, 18 მედალი მოიპოვა: 7 ოქრო, 6 ვერცხლი და 5 ბრინჯაო.

ჩვენი გუნდებიდან განსაკუთრებული წარმატებით ჭაბუკთა ასაკში ბიჭების ნაკრები გამოვიდა, რომელმაც მართლაც რომ შთამბეჭდავად იასპარეზა – 10 ათლეტიდან კვარცხლბეკზე 9 ავიდა, ამათგან კი 4 უმაღლეს საფეხურზე შედგა: **ჯაბა პაპინაშვილი** (52), **ლუკა მაისურაძე** (81), **ნიკა სიდამონიძე** (87) და **გელა ზაალიშვილი** (+87). ფინალში **საბა გრიგალაშვილი** (56), **გიგა ლიჩელი** (70) და **ლაშა მატიაშვილიც** (75) გავიდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და ვერცხლს დასჯერდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლებს **თორნიკე მარგველაშვილი** (48) და **ირაკლი ხერგიანი** (60) დაეუფლნენ. საკმაოდ წარმატებით გამოვიდნენ ამავე ასაკის გოგონებიც, რომლებმაც 3 მედალი ირგუნეს – 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ძიუდოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის შარშანდელი მესამე პრიზიორი **ნატალია ყიფშიძე** (48) და **მარიამ ცერცვაძე** (+75) გახდნენ, ხოლო **თინათინ რევაზიშვილი** (56) მესამეზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ცერცვაძე საკუთარი ხარჯით წავიდა რუმინეთში. ის და ყიფშიძეც ძიუდოისტები არიან და ძალიან ახლოს იყვნენ თავიანთ პირველ ტიტულთან, მაგრამ მის მოპოვებაში ორივეს რუსმა სპორტსმენებმა შეუშალეს ხელი – ცერცვაძე **სოფია პიროგოვამ** დაამარცხა, ყიფშიძე – **ვერა ლოტკოვამ**. 48 კილოგრამში კვარცხლბეკზე კიდევ ერთი ქართველი ავიდა, ოღონდ უკრაინის სახელით – **სოფიო ბაღიშვილი** მესამეზე გავიდა.

ახალგაზრდებს შორის მხოლოდ ბიჭების გუნდი გვყავდა, რომლის ანგარიშზეც 6 მედალია – 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. მსოფლიო ჩემპიონები ძიუდოში ამავე ასაკში მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი **ირაკლი კუპატაძე** (57), აგრეთვე, **ზვიად თევდორაშვილი** (74) და **დავით ოზბეთელაშვილი** (100) გახდნენ, **გიორგი მარუაშვილი** (52) ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა, **აკაკი გიგატაძე** (48) და **დავით რაზმაძე** (+87) კი – ბრინჯაოს მედალს. ამ გუნდმა ნამდვილი სპურტი მოაწყო, რადგან სამივე ოქრო ჩემპიონატის ბოლო დღეს მოიპოვა. ჭაბუკებიც ოთხიდან 3 ოქროს, ასევე, ერთ საშეჯიბრო დღეს დაეუფლნენ, ოღონდ ეს ახალგაზრდების ტრიუმფამდე მოხდა.

ამასთან, ჭაბუკებმა გუნდური ჩათვლაც მოიგეს, ახალგაზრდები კი მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ და მეორეზე გავიდნენ.

პრესტიჟული შეჯიბრების გამარჯვებული

18 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა **მარიამ დალაქიშვილმა** ევროპის ახალგაზრდული მასტერსი მოიგო, რაც საკმაოდ პრესტიჟული შეჯიბრებაა. იგი 9 ოქტომბერს იტალიაში დასრულდა, დალაქიშვილმა ნახევარფინალში რუსი **დანიელა მედვედევა** 6:4; 6:4 დაამარცხა. ამით ჩვენებურმა ჩემპიონობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა და ფინალში სერბ **თამარა მალეშევიჩს**, ასევე ორ სეტში, მართლაც დააყრევინა ფარ-ხმალი, თუმცა პირველში მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქართველს და დალაქიშვილმა მინიმალური სხვაობით, 7:6 იმარჯვა. აი, მეორეში კი ჩვენებურის უპირატესობა ბევრად უფრო საგრძნობი იყო – 6:3. დალაქიშვილისთვის ეს პირველი სერიოზული უცხოური წარმატებაა, რასაც, იმედია, მალე სხვებიც მოჰყვება.

ქუთაისელ ჩოგბურთელთა წარმატება

ამ დღეებში აბაშამ უმასპინძლა ღია პირველობას მაგიდის ჩოგბურთში სამ ასაკობრივ ჯგუფში – ჭაბუკების ორ ასაკში და ახალგაზრდებში, რომელშიც საქართველოს რამდენიმე რაიონის გუნდი მონაწილეობდა: აბაშა, თბილისი, ქუთაისი, ხულო, ზესტაფონი, სენაკი, მარტვილი, ლანჩხუთი.

ტურნირში ყველაზე დიდი წარმატებით ქუთაისელი ჩოგბურთელები გამოვიდნენ, რომლებმაც 3 ოქრო, 2 ვერცხლი და გუნდური პირველობა მოიპოვეს. აბაშაში რიონისპირა ქალაქიდან ააიპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მე-11 ფილიალის გუნდი გამოდიოდა **დავით ბაქრაძის** ხელმძღვანელობით. მათ ახალგაზრდებში ორივეგან გაიმარჯვეს – გოგონებშიც და ბიჭებშიც. ჩემპიონები **მარიამ ღვინეფაძე** და **ვლადიმერ ნადარაია** გახდნენ, ჭაბუკთა უფროს ასაკში კი ოქროს მედალი **ლუკა ნადარაიამ** მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ ნადარაიამ ფინალში თანაგუნდელი **გიორგი ჭილვარია** დაამარცხა, ჭაბუკთა უმცროს ასაკში კი გოგონებში ვიცე-ჩემპიონი **ანი ზანკალიანიც** გახდა. ქუთაისელებსვე გადაეცათ საუკეთესო გუნდისთვის განკუთვნილი თასიც.

ამ გაერთიანების წარმომადგენლებმა, ბოლო დღეებში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს, ოღონდ ამჯერად გოგონების ფეხბურთში: 94-ე საფეხბურთო სკოლა „მართვეს“ გუნდი, ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, საქართველოს ჩემპიონი გახდა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც **პაატა დოგრაშვილის** ქუთაისელმა შეგირდებმა, ხაშურში, სტუმრად 5:1 მოუგეს ადგილობრივ „ივერიას“ და, გაუსწრეს რა უახლოეს მდევარ 35-ე სკოლას 9 ქულით, ვადამდე გაინაღდეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

„ახალგაზრდა ლომი“ დიდებაშიც შეუჩერებელია

აგრძელებს ფენომენალურ კარიერას 19 წლის ქუთაისელი მოჭიდავე **ზვიად პატარიძე** (130) – 2013 წლიდან მოყოლებული მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო და ისიც შარშან, უფროსებში, როცა ყაზახეთში ბოლატ ტურლიხანოვის მემორიალზე მესამეზე გავიდა. მან იქ წლეულსაც იასპარეზა, თუმცა, ამჯერად ყველა მეტოქეს მართლაც ლომივით დააცხრა თავს და ჩემპიონი გახდა.

ელგუჯა მარუაშვილის აღზრდილი პატარიძე ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში მსოფლიოს ოთხგზის, ხოლო ევროპის სამგზის ჩემპიონია. შემთხვევითი არაა, რომ შარშან, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, მას ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის საიტმა „ახალგაზრდა ლომი“ უწოდა. მისი ტალანტი ჯერ კიდევ ჭაბუკებში გამობრწყინდა, როცა ფიზიკურად ძლიერი ბიჭი, საგანგებო ვარჯიშებით, ამ კომპონენტში კიდევ უფრო დაიხვენა და დიდი უპირატესობით ანადგურებდა თანატოლებს. მისი ჭიდაობის სტილი მკვეთრად ძალისმიერია, მაგრამ არც ტექნიკა დაეწუნება. უბრალოდ, ფიზიკურად იმდენად იოლად აბურთავებს ყველას, ტექნიკურ ილეთებზე დროს და ენერგიას არ ხარჯავს. მისთვის პრობლემა არაა, აიტაცოს მეტოქე და დაბლა ჩააგდოს, იქ კი კენჭივით ატრიალებს ყველას, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ასეთ პირობებში არცაა გასაკვირი, ილეთებზე დროს რომ არ ჰკარგავს.

პატარიძემ, კვირას, ყაზახეთშიც დაახლოებით ამ სტილში იჭიდავა ზემოაღნიშნულ ტურნირზე, სადაც ფინალამდე ოთხი შეხვედრა ასევე დამაჯერებლად მოიგო. თავდაპირველად, ყაზახ **ჟალგასბაიევს** ქულებით აჯობა წმინდად, მერე რუსეთის ვიცე-ჩემპიონი **ვიტალი შური** 6:0 ჩამოიცილა გზიდან, ნახევარფინალში კი უზბეკ **მამუდ აბდულაევსაც** მოუგო.

ქართველ ათლეტს ფინალშიც სერიოზული მეტოქე ჰყავდა, თანაც – ქართველი: ბელარუსის სახელით მოჭიდავე, ევროპული თამაშების მესამე პრიზიორი **ბესიკ ჩუგოშვილი**, რომელიც მასზე ასაკითაც დიდია და ფიზიკურადაც. თანაც, ჩუგოშვილს რაღაც აგრესია ახასიათებს ქართველებისადმი და უმეტესად ბინძური მეთოდებით ჭიდაობს ჩვენებურებთან, რომლებიც ვარჯიშებზეც ხშირად გამხდარან მისი „წელსქვედა დარტყმების“ მსხვერპლნი. თუმცა, პატარიძესთან ეს უპირატესობა მას მხოლოდ წუთნახევარი დაეხმარა, მერე კი ჩვენებურმა ცოტა უცნაური შესვლით კუნძივით გადააგდო 4-ქულიანზე და იქვე დაატრიალა კიდეც. მოგვიანებით, წრიდანაც გაიყვანა და ისე იოლად მოუგო 7:0, მისთვის ოდნავი შანსიც არ მიუცია. არადა, ფინალში პატარიძეს წარბი გაუსკდა და მთელი შეხვედრა ტრავმირებულმა ჩაატარა.

ეს პატარიძის პირველი ტიტულია უფროსებში, თუმცა წლეულს ის უკვე ჩაებმება ეროვნული ნაკრების კონკურენციაში. მართალია, ხელწამოსაკრავი კონკურენტი არც იქ ჰყავს – 23-წლიანთა შორის ევროპის წლევანდელი გამარჯვებული **იაკობ ქაჯაია**, მაგრამ ამ ეტაპზე პატარიძე უფრო ძლიერი ჩანს. თუმცა, როგორც უნდა განვითარდეს მათი კონკურენცია, ქუთაისელ ფალავანს რომ დიდი მომავალი აქვს, ამაზე არავინ კამათობს.

სტუმრებს თასი არ გაატანეს

ქუთაისში დამთავრდა კალათბურთში იქაურთა სახელოვანი მწვრთნელის ზაურ დოლაბერიძის ხსოვნის ტურნირი 2005-2006 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. დოლაბერიძე, წლების განმავლობაში, ხელმძღვანელობდა ადგილობრივ საკალათბურთო კლუბს და არაერთი სახელოვანი კალათბურთელიც აღზარდა. ის 2009 წელს გარდაიცვალა, მისი სახელობის მემორიალი კი უკვე ტრადიციული გახდა.

ამჯერად ტურნირში 6 გუნდი გამოდიოდა, მათ შორის ერთი – „სამტრედია“ – გოგონებისა იყო. მათ გარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: საკუთრივ მასპინძელთა კლუბი, „რუსთავი“, თბილისის „აკადემია“, „სოხუმი“ და „იბერი“. ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართულ ფინალურ შეხვედრაში, რომელსაც ქალაქის მთელი ხელმძღვანელობა ესწრებოდა, მასპინძლები „აკადემიას“ შეხვდნენ და დაძაბულ, დრამატულ პაექრობაში 47:43 სძლიეს. შესაბამისად, დოლაბერიძის სახელობის თასიც მათ დარჩათ.

რუბრიკა მოამზადა
ირაკლი თავაძემ

წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა



წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“



წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია
რა არის რა



ევროპა



უძველესი ადამიანი

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა,
თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

მშობელთა კრება

ზღვარგადასული მორიდება – დაბალი თვითშეფასება?

როგორი ფსიქოლოგიური იმუნიტეტი აქვს პატარას განსაკუთრებით იოლი შესამჩნევი მაშინ ხდება, როცა უცხო ადამიანის მიერ მის მიმართ გამოჩენილ ყურადღებაზე დედის კალთას ეფარება ან შუბლშეჭმუხნილი თავს არიდებს მისთვის უცნობ კითხვებს თუ მოფერებას. პირველად ბაღში ან პირველად სკოლაში მისული ბავშვის რეაქციაც ხშირად ასეთია და, ზოგ შემთხვევაში, ეს ხანგრძლივადაც გრძელდება, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას ამ დაუძლეველი სიმორცხვის გამო ვერ ახერხებს. ასეთ პატარას ზედმეტად მორცხვს ვეძახით და მივიჩნევთ, რომ ამ ასაკში მსგავსი რეაქცია ნორმალურიცაა, მაგრამ როცა ასეთ რეაქციებს ზრდასრულ ან თუნდაც თინეიჯერობის ასაკში ვაწყდებით, ეს სერიოზულად დამაფიქრებელია, საგანგაშოც. მართალია, მოზრდილი ადამიანი მცირე ასაკის მქონე ბავშვების მსგავსად, ვერც დედის კალთას ამოფარებას შეძლებს და ვერც პრობლემის ამ სახით მიჩქმალვას, რადგანაც ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა – ზღვარგადასული მორიდება – „მორცხვობა“ – მის ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით ვლინდება – მეგობრებთან ურთიერთობისას, უცხო ადამიანებთან კონტაქტის დამყარების შიშით, გამუდმებით იმაზე ფიქრით, რას ამბობენ მასზე სხვები და ა.შ. სად ვეძებოთ მიზეზები?

ცნობილი დანიელ-გერმანელ-ამერიკელი ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი **ერიკ ერიკსონი**, რომელმაც შექმნა თეორია ადამიანის ფსიქოსოციალური განვითარების ეტაპების შესახებ, ამბობს, რომ ზრდასრულ ასაკში ზღვარგადასული მორიდების ან საკუთარ თავში დაურწმუნებლობის მიზეზი ბავშვობაშია საძიებელი.

მან ცხოვრების ციკლის რვა სტადია გამოყო, რომელსაც ადამიანი გადის ცხოვრების მანძილზე. ყოველ ეტაპზე ადამიანის წინაშე დგას ახალი გამოწვევები და ახალი ამოცანები, კრიზისები და კონფლიქტები, რომელთა გადაწყვეტა უხდება. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი კონფლიქტი ბოლომდე არ ამოიწურება, აუცილებელია ინდივიდმა საკმარისად გადაჭრას თითოეული მათგანი, რათა წარმატებით გაუმკლავდეს შემდგომი სტადიების კონფლიქტებს. თუ რომელიმე ეტაპი წარმატებით არ შესრულდა, მაშინ შესაძლებელია წინა ეტაპზე გადაუწყვეტელი პრობლემები მომავალში ხელახლა დადგეს ადამიანის ცხოვრების წინაშე.

ერიკსონი აღნიშნავდა, რომ არასრულფასოვნების განცდა ან ზედმეტი მორიდება, რომელიც ხელს უშლის ადამიანს ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, ბავშვს მაშინ უჩნდება, როდესაც შინ, სკოლაში თუ თანატოლებთან ურთიერთობისას მასში არაკომპეტენტურობის შეგრძნება ჭარბობს და სოციუმი, განსაკუთრებით უახლესი გარემოცვა – მშობლები, ოჯახის წევრები, მასწავლებლები – მუდმივი აკრძალვების პირობებში ამყოფებს.

ფსიქოლოგი **6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში არასრულფასოვნებას კომპეტენტურობას უპირისპირებს**, რადგან მიიჩნევს, რომ ამ ეტაპისთვის ბავშვები უფრო შეგნებული ხდებიან, უფრო მეტად აცნობიერებენ სერიოზულ და აბსტრაქტულ საკითხებს. შეუძლიათ ბეჯითად ბევრი იშრომონ იმისთვის, რომ პატივისცემა და შექება დაიმსახურონ, სწორად და კარგად შესრულებული სამუშაოსთვის. ამ ასაკიდან მათ უკვე შეუძლიათ სამუშაოს განაწილებაც, ერთად, გუნდურად მუშაობა. ამ პერიოდისთვის იგებენ დროის და სივრცის კონცეფციებს, არიან უფრო ლოგიკური აზროვნებაშიც და ქცევებშიც და უფრო პრაქტიკულები ამოცანების შესრულებისას. უკეთ ესმით მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობის. სწავლობენ კომპლექსურ უნარ-ჩვევებს: წერას, კითხვას. უყალიბდებათ გარკვეული მორალური ღირებულებები.

თუკი ბავშვებს ექნებათ წახალისება კარგი საქციელის ჩადენისას, გარვეული უნარ-ჩვევების შეძენისას და გაუმჯობესებისას, მაშინ მათი მოტივაცია გაიზრდება და ისინი უფრო პროდუქტიულები იქნებიან, უფრო ბეჯითად და მეტ დროს დაუთმობენ იმ საქმიანობას, რაც კარგად გამოსდით. ამ ეტაპზე ჯილდოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბავშვებისთვის ასაკის ამ დიაპაზონში, ამ დროისთვის ვითარდება სივრცული აღქმები, ეცნობიან ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, ავითარებენ იმ შესაძლებლობებს, რაც უკეთ გამოსდით. ხოლო თუ მოხდება მათი ხედვის არეალის შეზღუდვა, არ ექნებათ საშუალება გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს და სახეობებს, მათი მოტივაცია ქვეითდება, თვითშეფასება კი მცირდება. ასეთი ადამიანები დუნე ცხოვრების სტილს ირჩევენ, ამიტომ აუცილებელია ბავშვის ინტერესების სფეროს განვითარება და ხელშეწყობა.

12-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებში როლების აღრევას ერიკსონი ეგო-იდენტურობით ამარცხებს. მიიჩნევს, რომ ამ ასაკის ბავშვებში მნიშვნელოვანი და ფასეულია სხვების აზრი მათ შესახებ. ამ ასაკში ყალიბდება სექსუალური იდენტურობა, რომელიც მოიცავს სექსუალურ ორიენტაციას. ამ ასაკში მოზარდები ხშირად განიცდიან იმედგაცრუებას, აქვთ ერთმანეთში არეული გრძნობების და ემოციების ნაზავი. ამ პერიოდისთვის, ზოგ ბავშვს განსაკუთრებით უყვარს მანქანა, მუსიკა, ზოგი სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებში ერთიანდება. ერიკსონის ხედვით, ამ პერიოდისთვის, მოზარდების უმეტესობას უჩნდება საკუთარი იდენტურობის განცდა. თუკი მოზარდმა ვერ შეძლო საკუთარი იდენტურობის განსაზღვრა, უვითარდება იდენტურობის კრიზისი.

ცხოვრების ამ ეტაპზე ხდება დიდი ბიოლოგიური და ფიზიკური ძვრები ადამიანის ორგანიზმში, ხდება სქესობრივი მომწიფება და ეს ეტაპი ემსგავსება ხიდს ბავშვობიდან დიდობისკენ. ამ პერიოდში მოზარდს საკმარისი დრო აქვს იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების კომბინირება მოახდინოს, გააცნობიეროს ვინ არის და რა უნდა. რადგან ამ ასაკში ადამიანი თვითონ ირჩევს საკუთარ იდეოლოგიას, სწორედ ამიტომ ხდება ხშირი კონფლიქტი მოზარდებსა და დიდებს შორის.

თუმცა ფსიქოლოგი აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ ადამიანებში იდენტურობის პერიოდი გაცილებით იზრდება და 12-18 წლით არ შემოიფარგლება.

როგორ გაუმკლავდეს ზრდასრული ადამიანი პრობლემას, რომელიც, როგორც ჩანს, ღრმა ბავშვობიდან იღებს სათავეს და მის დამალვას ადრეულ ასაკში იოლად ახერხებს უფროსის კალთაზე ამოფარებით ან სახის დამალვით, შემდეგ, ზრდასრულ ასაკში კი ვერც მიზეზს და ვერც მისი მოგვარების გზებს ვეღარ პოულობს. ამის შესახებ პიროვნული განვითარებისა და მენეჯმენტის ცნობილი კანადელი სპეციალისტი **ბრაინ ტრეისი** თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში – „თავდაჯერებისა და წარმატებისკენ მიმავალი საფეხურები“ – ოთხ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას და თავდაჯერების ასამაღლებლად ასეთ რჩევებს იძლევა:

1. ზუსტად უნდა იცოდე, როგორი ადამიანი გინდა იყო და რა გსურს;
2. უნდა ირწმუნო საკუთარი თავის შესაძლებლობები და გჯეროდეს, რასაც მოინდომებ, ყველაფერს შეძლებ;
3. მხოლოდ სურვილი ან რწმენა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რაღაც გამოგივიდეს. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ გადაწყვეტილებები განსაზღვრულ ვალდებულებებთანაა დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, გააკეთო ყველაფერი, რაც საჭიროა და პირველივე დაბრკოლებასთან შეჯახებისას უკან არ დაიხიო;
4. არანაკლებ მნიშვნელოვანი უნარებია თანმიმდევრულობა (დაწყებული საქმის, გეგმის, ჩანაფიქრის ბოლომდე მისაყვანად) და სიმტკიცე (ყოველდღიურად, თუნდაც მცირედის გაკეთება მიზნის მისაღწევად).

მოამზადა ***ლალი ჯელაძემ***

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

წიგნის თარო

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. მაღალსფსკი ფენის ქვეშ მოთავსებულია ენიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც გათავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

კრებულის ფასი – 9.90₾

სერიის ფასი – 17.70₾

ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისთვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40₾

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

CMYK